

# მასში ქართულ ენასა და ლიტერატურაში

2008

## ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით საგამოცდო ტესტის ბუკლეტს და ისე შეავსეთ პასუხების ფურცელი. **ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი სამუშაოსათვის!**

**გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!**  
**პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!**

წერეთ გარკვევით, იმყოფინეთ პასუხისათვის განკუთვნილი ადგილი. თუ კითხვას არ ახლავს აკრძალვა – ციტირება დაუშვებელია – შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც.

**დავალებების №№ 1-10** (წაკითხულის გააზრება) და **№№ 11-14** (ქართული ენა) შესასრულებლად აუცილებელია პასუხების ფურცლის შესაბამის უჯრედში გააკეთოთ აღნიშვნა – **X**. (იხ. დავალება 11).

**გაითვალისწინეთ, დავალებები №№ 15-18 უნდა შესრულდეს შემდეგნაირად:**

- პასუხების ფურცელში მოცემულია უჯრედების ჰორიზონტალური და ვერტიკალური რიგები (იხ. დავალება 17).
- ჰორიზონტალურ რიგებში იმდენი უჯრედი, რამდენი წინადადებაცაა (**№ 17 დავალებაში** – რამდენი ციფრიცაა) ამ დავალებებში;
- უჯრედთა ვერტიკალური რიგები შეცდომათა რაოდენობას შეესაბამება;
- პირველ ჰორიზონტალურ რიგში **X** უნდა დაისვას იმ წინადადების (ციფრის) რიგითი ნომრის ქვეშ, რომელშიც პირველი შეცდომაა დაშვებული; მეორე ჰორიზონტალურ რიგში **X** უნდა დაისვას იმ წინადადების (ციფრის) რიგითი ნომრის ქვეშ, რომელშიც მეორე შეცდომაა დაშვებული და ა. შ. (იხ. დავალება 17).

**პასუხების მონიშვნისას:**

- პასუხების ფურცელში მოძებნეთ დავალების ნომერი და თქვენი პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**;
- დასაშვებია **X** ნიშანი გასცდეს თეთრი უჯრედის ფარგლებს (იხ. ნიმუში), მაგრამ იგი უჯრედზე მოკლე არ უნდა იყოს;
- თუ რომელიმე რიგში ერთზე მეტ **X** ნიშანს დასვამთ, ეს დავალება არ შეფასდება;
- თუ გსურთ უკვე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ ეს უჯრედი (ან უჯრედები) და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (იხ. ნიმუში).

**ნიმუში:**

დავალება 11.	დავალება 17.
<p>ა ბ გ</p> <p>1. <input checked="" type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input checked="" type="checkbox"/></p> <p>2. <input checked="" type="checkbox"/> <input checked="" type="checkbox"/> <input checked="" type="checkbox"/></p> <p>3. <input type="checkbox"/> <input checked="" type="checkbox"/> <input type="checkbox"/></p>	<p>1 2 3 4 5 6 7 8 9</p> <p>1. <input checked="" type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input checked="" type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input checked="" type="checkbox"/> <input checked="" type="checkbox"/></p> <p>2. <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input checked="" type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/></p> <p>3. <input checked="" type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input checked="" type="checkbox"/> <input checked="" type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/></p> <p>4. <input checked="" type="checkbox"/> <input checked="" type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input checked="" type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input checked="" type="checkbox"/></p>

იმ შემთხვევაში, როდესაც პასუხი იწერება სიტყვიერად, შეცდომა შეგიძლიათ გადახაზოთ და გვერდით (ან ზემოთ) დაწეროთ სწორი პასუხი.

სამი წერითი დავალებიდან აირჩიეთ და შეასრულეთ **მხოლოდ ერთი**.

**არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი.** ის ნაშრომი, რომელზეც მითითებული იქნება აბიტურიენტის სახელი და/ან გვარი, ან პიროვნების იდენტიფიკაციის სხვა საშუალება (მაგალითად, მეტსახელი), არ გასწორდება!

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი და 30 წუთი.

**გისურვებთ წარმატებას!**

წაკითხულის გააზრებისა (№№ 1-10) და ქართული ენის (№№ 11-14) დავალებათა შესასრულებლად აუცილებელია პასუხების ფურცლის შესაბამის უჯრედში გააკეთოთ აღნიშვნა – X.

## I. წაკითხულის გააზრება

წაკითხეთ ტექსტი ბოლომდე. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყოთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. შეკითხვებს ყურადღებით გაეცანით და მოცემული სამ-სამი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი.

1. თანამედროვე მოაზროვნეები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მეტისმეტად მექანიზებული გარემოს უარყოფით ზეგავლენას ადამიანის გრძნობებზე: ეს გარემო ადამიანში ბადებს და ავითარებს ჩვევას, ყოველივე, აგრეთვე ერთმანეთიც, განიხილონ როგორც მექანიკური სამუშაოს აღმსრულებელი მექანიზმი, ანუ როგორც იარაღი; ხოლო მექანიზმისა და იარაღის როლში ცოცხალი ადამიანი მკვდარ მატერიალთან კონკურენციას ვერ უძლებს...
2. „პროგრესი“, მოხერხებულობისა და მოხერხებული ნივთების კულტს რომ ბადებს, ამით აუფასურებს ადამიანს... ის უამრავი სხვადასხვა „არხითა“ და გზით უარყოფით გავლენას ახდენს სამყაროსადმი ადამიანის ემოციურ მიმართებაზე, რის შედეგადაც ნგრევისა და განადგურების საშუალებებით კბილებამდე შეიარაღებული კაცობრიობა ფიზიკური კატასტროფისა და გადაშენების საფრთხის წინაშე დგება...
3. „პროგრესს“ კაცობრიობა ცხოვრების ხარისხის კატასტროფული დაქვეითებისაკენ მიჰყავს... თავისი გარემომცველი სამყაროსადმი გულგრილი რომ ხდება, ადამიანს აღარაფერი ახარებს მასში და, მაშასადამე, მისი ცხოვრება, როგორც „სამყაროში-ყოფნა“, სრულიად უსიხარულო, უხალისო და უგემური ხდება. „პროგრესი“ განუხრელად ახორციელებს ადამიანური კავშირებისა და ურთიერთობების რღვევასა და ნგრევას; იგი არღვევს ადამიანის შინაგან კავშირს საკუთარ თავთან, სხვა ადამიანებთან, ხალხთან, წარსულთან, სამშობლოსთან, ბუნებასთან, დედამიწასთან.
4. „ტექნიკური გაუცხოების“ პრობლემის სიღრმეში ქრისტიანობის კრიზისისა და, უფრო ფართოდ, იდეალებისა და, აქედან, ცხოვრების აზრისა და ფასის დაკარგვის პრობლემა გამოსჭვივის. სხვაგვარად, თანამედროვე დასავლეთის ფილოსოფიურსა და მხატვრულ აზროვნებაში ძირითადი პრობლემის სახით ე. წ. „ნიჰილიზმის“ პრობლემა დგას...
5. „ნიჰილიზმი“ მოკლედ და ზოგადად იმ მდგომარეობას აღნიშნავს, როცა ადამიანი მხედველობიდან კარგავს ცოცხალი ორგანიზმის სახით შემთხვევითი და წარმავალი არსებობის იქით „სხვა არსებობისადმი“, მარადისობისადმი ზიარებისა და, ამგვარად, ამადლების პერსპექტივას. როცა ცოცხალი ორგანიზმის სახით არსებობის იქით გასვლის პერსპექტივა დახშული ჩანს, ადამიანი თავდავიწყებით ეძლევა ამ არსებობის განმტკიცებაზე ზრუნვას, რაც, საბოლოო ანგარიშით, ნივთიერი ქონებისა და კომფორტულ-ფეშენებელური ცხოვრების კულტის სახით იჩენს თავს.
6. ხოლო ამ მიმართულებით რომ მოძრაობს, ადამიანი სულ უფრო და უფრო ეთიშება დანარჩენ ადამიანებს, საზოგადოებას და საბოლოოდ იკეტება თავის თავში. არსებობის ეს უკიდურესი სივიწროვე მასში ამძაფრებს პრინციპული უკმარობის ყრუ გრძნობას, რაც კონკრეტულად უკიდურესი მარტოობისა და მოწყენილობის აუტანელი განცდების სახით იჩენს თავს.
7. იდეალისაგან დაცლილობისა და, ამგვარად, სიცარიელის, სრული მარტოობის აუტანელი განცდით შევიწროებული და დევნილი ადამიანი „თაქედმოგლეჯილი“ გარბის თავისი თავისაგან სხვებისაკენ – ნიჰილისტისათვის დამახასიათებელი ისაა, რომ თავის თავთან დარჩენას ვერ იტანს და განათებულ დარბაზებსა და მოედნებზე ოფიციალურ თავშეყრილობაზე, ჩვენებებსა და ფესტივალებზე სხვებთან, სხვათა უმრავლესობასთან გამუდმებით ერთად ყოფნას ეძებს.
8. ნიჰილისტი არა მხოლოდ თავის თავთან მარტოდ დარჩენას გაურბის, იგი ვერც ცალკეულ ინდივიდთან, როგორც თანამოსაუბრესთან, განმარტობას ვერ იტანს – შინაგანად გამოცარიელებული რომაა და არაფერი აქვს სათქმელი, ეს უსიამო ვითარება განსაკუთრებით ნათლად სწორედ გულგახსნილი საუბრის სიტუაციაში იჩენს თავს. ამიტომაც გარბის იგი აგრეთვე საუბრის ინტიმური ატმოსფეროსაგან ანუ გულის გახსნის შესაძლებლობისაგან...
9. როცა კაცი მუდამ შინიდან არის გასული და ყოველგვარ თავყრილობასა და ფესტივალში მონაწილეობს გაუთავებლად ისე, რომ შინ დაბრუნება და შინ დაყოვნება აღარ უნდა, ეს იმის უტყუარი ნიშანია, რომ „შინ“ ანუ, საბოლოო ანგარიშით, მისი სულის სიღრმეში საზარელი სიცარიელე, არარაობა – nihil – დასადგურებულა...

*ზურაბ კაკაბაძე, თანამედროვე დასავლური ლიტერატურისა და ხელოვნების პრობლემები, წიგნში: ფილოსოფიური საუბრები, თბ., 1988.*

- (1) **1. რა არის II აბზაცის ფუნქცია?**  
 ა) მსჯელობის დაწყება ახალი პრობლემის შესახებ. ბ) სამსჯელო საკითხის აქტუალობის ჩვენება. გ) წინა აბზაცში გამოთქმული მოსაზრების გამეორება.
- (1) **2. რა არის III აბზაცის უმთავრესი აზრი?**  
 ა) „პროგრესი“ ადამიანის ბედნიერების საფუძველია. ბ) „პროგრესი“ არღვევს ადამიანის კავშირს წარსულთან. გ) „პროგრესს“ ადამიანისათვის ბედნიერება არ მოაქვს.
- (1) **3. რა აკავშირებს III და IV აბზაცებს ერთმანეთთან?**  
 ა) IV აბზაცში დაზუსტებულია III აბზაცში გამოთქმული მოსაზრება.  
 ბ) IV აბზაცში გამეორებულია III აბზაცში გამოთქმული მოსაზრება.  
 გ) IV აბზაცში უარყოფილია III აბზაცში გამოთქმული მოსაზრება.
- (1) **4. რა არის V აბზაცის უმთავრესი აზრი?**  
 ა) „ნიჰილიზმი“ კომფორტული ცხოვრების გაღმერთებას იწვევს.  
 ბ) „ნიჰილიზმი“ „მარადისობისადმი ზიარების“ პერსპექტივას ბადებს.  
 გ) „ნიჰილიზმი“ სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას იწვევს.
- (1) **5. რა იგულისხმება სიტყვებში: „პრინციპული უკმარობის ყრუ გრძნობა“?**  
 ა) მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შეუძლებლობა.  
 ბ) სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შეუძლებლობა.  
 გ) სხვა ადამიანებთან ურთიერთობების შესაძლებლობა.
- (1) **6. რა იწვევს ადამიანური არსებობის ტრაგიზმს VII აბზაცის მიხედვით?**  
 ა) ერთად ყოფნის სურვილი. ბ) საკუთარი თავისაგან გაქცევა.  
 გ) ჭეშმარიტი იდეალების არარსებობა.
- (1) **7. რომელ აბზაცშია გამოხატული აზრი, რომ ნიჰილისტი სულიერად ცარიელი ადამიანია?**  
 ა) II აბზაცში. ბ) VI აბზაცში. გ) VIII აბზაცში.
- (1) **8. რა არის IX აბზაცის უმთავრესი აზრი?**  
 ა) ნიჰილისტი მუდამ ფესტივალებში მონაწილეობს. ბ) ნიჰილისტის სულიერი სამყარო ცარიელია. გ) ნიჰილისტი შინ დაბრუნებას გაურბის.
- (1) **9. რის შესახებ არ მსჯელობს ავტორი ამ ტექსტში?**  
 ა) ზნეობრივი კატეგორიების შესახებ. ბ) პიროვნების გაუცხოების შესახებ.  
 გ) ტექნიკური პროგრესის შესახებ.
- (1) **10. რა არის მთელი ტექსტის უმთავრესი აზრი?**  
 ა) ნიჰილისტი საკუთარ თავთან დარჩენას გაურბის. ბ) ტექნიკური პროგრესი ადამიანის კეთილდღეობის საფუძველია. გ) ტექნიკური პროგრესი სულიერ სიცარიელეს იწვევს.

## II. ქართული ენა

- (3) **11. ტექსტში გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა. ქვემოთ მოცემული ვარიანტებიდან შეარჩიეთ კონტექსტისათვის უფრო შესაფერისი.**  
 იუპიტერი მზის სისტემაში ყველაზე დიდი პლანეტაა. იგი პოლუსებთან უფრო (1) . . . არის შებრტყელებული, ვიდრე ვენერა, მერკური, დედამიწა და მთვარე. ეს იმიტომ გამოწვეულია, რომ იუპიტერი მათზე (2) . . . ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო. გარდა ამისა, იგი ისე (3) . . . , რომ ყველა სხვა ვარსკვლავისა და პლანეტისაგან გამოირჩევა.

- |                  |               |               |
|------------------|---------------|---------------|
| 1. ა) დიდად;     | ბ) მეტად;     | გ) ფრიად.     |
| 2. ა) გამაღებით; | ბ) მარდად;    | გ) სწრაფად.   |
| 3. ა) ბზინავს;   | ბ) კაშკაშებს; | გ) ლაპლაპებს. |

- (1) **12. რას ნიშნავს სიტყვათა მყარი შეხამება – თავის ჭიას ახარებს?**  
 ა) საკუთარი თავით კმაყოფილია; ბ) სიხარულს ვერ მაღავეს; გ) სურვილებს იკმაყოფილებს.
- (1) **13. რაც თეთრად ელვარებს, არის:**  
 ა) ქათქათა; ბ) ლაქლაქა; გ) ხასხასა.

(1) 14. უფრო გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს:

- ა) უილაჯოს;
- ბ) უპოვარს;
- გ) უუნაროს.

**№№ 15-18 დავალებების შესასრულებლად პასუხების ფურცელში მოცემულია უჯრედების ჰორიზონტალური რიგები, რომლებშიც იმდენი უჯრედია, რამდენი წინადადებაცაა (№ 17 დავალებაში – რამდენი ციფრიცაა) ამ დავალებებში, უჯრედთა ვერტიკალური რიგები კი შეცდომათა რაოდენობას შეესაბამება. პირველ ჰორიზონტალურ რიგში X უნდა დაისვას იმ წინადადების რიგითი ნომრის ქვეშ, რომელშიც პირველი შეცდომაა დაშვებული; მეორე ჰორიზონტალურ რიგში X უნდა დაისვას იმ წინადადების რიგითი ნომრის ქვეშ, რომელშიც მეორე შეცდომაა დაშვებული და ა. შ.**

(4) 15. რომელ წინადადებებშია დაშვებული მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომები?

1. XI საუკუნეში ქართველები პალესტინის სხვადასხვა მონასტერში მოღვაწეობდნენ. 2. საჭირო იყო ამ სავანეებში გაფანტული ბერების მრავალ მხრივი კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ორგანიზებულად წარმართვა. 3. შავშელმა მწიგნობარმა პროხორემ ამ მიზნით იერუსალიმის ახლოს ჯვრის მონასტერი ააგო. 4. ჯვარი ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრად იქცა. 5. მონასტერში პროხორემ დააფუძნა წიგნსაცავი, რომლის გასამდიდრებლად არაერთი თხზულება გადააწერია. 6. 1071 წელს თურქ-სელჩუკებმა იერუსალიმის აღებისას მონასტერი ნაწილობრივ დაანგრიეს. 7. იგი დავით აღმაშენებლის მეფობის დროს საქართველოდან მიღებული შემოწირულებით აღსდგა და განახლდა. 8. ბერ-მონაზვნური ცხოვრება აქ განსაკუთრებით თამარის ეპოქაში გამოცოცხლდა. 9. მოგვიანებით სამშობლოდან მხარდაჭერამ იკლო, მაგრამ ქართველებმა სავანის შენარჩუნება XIX საუკუნემდე შეძლეს.

(4) 16. რომელ წინადადებებშია დაშვებული სინტაქსური შეცდომები?

1. პირველი ბერძენი ფილოსოფოსი თალესი ცხოვრობდა ძველ წელთაღრიცხვის 624-547 წლებში. 2. მან ცოდნის გასაღრმავებლად ფინიკიასა და ეგვიპტეში იმოგზაურა. 3. ის, რომ თალესი ღრმად განსწავლული დაუბრუნდა სამშობლოს, არაერთი ფაქტი ადასტურებს. 4. მაგალითად, მეცნიერმა თავისი რამდენიმე ცნობილი გეომეტრიული თეორემა ეგვიპტეში მიღებული ცოდნის საფუძველზე დაამტკიცა. 5. გარდა იმისა, რომ თალესი იმ პერიოდის დიდი მათემატიკოსი იყო, იგი კარგად ერკვეოდა ასტრონომიაშიც. 6. ამას მოწმობს მისი წინასწარმეტყველება 585 წლის მზის დაბნელების შესახებ. 7. მან პირველმა დასვა საკითხი ბერძენ მეცნიერთაგან, რომელიც ბუნების მოვლენათა საწყისის ძიებას ეხებოდა. 8. თალესმა დასაბამი მისცა მეცნიერული აზრის განვითარებას ძველ საბერძნეთში. 9. ამის გამო ბერძნულ წყაროებში იგი შვიდ სწავლულებს შორის არის მოხსენიებული.

(4) 17. რომელი ციფრების ადგილას არის გამოტოვებული სასენი ნიშნები?

ტიხრული მინანქარი ლითონის მხატვრული დამუშავების ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. შუა საუკუნეების ქართული მინანქარი უნიკალურია(1) როგორც შესრულების ტექნიკით(2) ისე ტიხართა მირჩილვის ტექნოლოგიით. დროთა განმავლობაში(3) დეკორატიული ხელოვნების ეს დარგი დავიწყებას მიეცა და მხოლოდ(4) XX საუკუნის 60-იან წლებში(5) მოხერხდა მისი აღდგენა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. ქართველმა მხატვრებმა(6) არა მარტო ამოხსნეს ქართული მინანქრის საიდუმლოება(7) არამედ შექმნეს მისი ახალი სახეობები(8) ვიტრაჟული(9) ფერწერული და სხვა.

(4) 18. რომელ წინადადებებში გვხვდება სტილისტური ხარვეზები?

1. მაგიდის ჩოგბურთი თბილისში „პინგ-პონგის“ სახელწოდებით შემოვიდა XX საუკუნის დასაწყისში. 2. ამ ახალ თამაშს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებსა და ოჯახებში თამაშობდნენ. 3. 1928 წელს იგი, როგორც ბურჟუაზიული გადმონაშთი, ხელისუფლებამ აკრძალა. 4. ჩოგბურთი ჩვენს ქვეყანაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღორძინდა. 5. სწორად ამ დროიდან არის იგი განსაკუთრებით პოპულარული. 6. ეზოებში, დაწესებულებებში, ბაღებსა და პარკებში სპეციალური მაგიდები იდგმებოდა. 7. იქმნებოდა საწვრთნელი ჯგუფები, სამოყვარულო გუნდები, წარმოებდა ამხანაგური შეჯიბრებების მოწყობა. 8. ამავე პერიოდში საფუძველი დაედო ფედერაციასა და მწვრთნელთა საბჭოს. 9. 1952 წელს ფოთში ჩატარდა საქართველოს პირველი ჩემპიონატი, რომელშიც გაიმარჯვა ირაკლი ხიმშიაშვილმა.

(10) 19. ტექსტში დაშვებულია მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომები. ოთხ სტრიქონში შეცდომა არ არის, ექვსში კი თითო-თითო შეცდომაა. სტრიქონის ნომრის გასწვრივ მოცემულ

ხაზებზე დაწერეთ თითოეული ეს სიტყვა **სწორი ფორმით**; თუ შეცდომა არ არის, გააკეთეთ აღნიშვნა ✓.

- ნიმუში: 0** ავლაბარი თბილისის ერთ-ერთი ძველი უბანია, რომელიც მტკვარის  
0 მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს. თბილისის ისტორიის მკვლევართა  
1 აზრით, სახელწოდება „ავლაბარი“ უნდა გავრცელებულიყო არაუგვიანეს  
2 მე-14-ე საუკუნისა. როგორც ისტორიკოსი თეიმურაზ ბერიძე განმარტავს,  
3 „ბარე“ აღნიშნავს სანგარს, გალავანს, „ჰაველე“ კი – მიდამოს. ამდენად,  
4 ავლაბარი გალავნის იქითა მიდამოს, გარეუბანს ნიშნავს. ქართველებთან  
5 ერთად აქ ცხოვრობდნენ ბერძნები, სომხები და სპარსელები, რომლებიც  
6 განთქმულნი იყვნენ ხელოსნობით. ავლაბრის დაგეგმარება საგრძნობლათ  
7 ანსხვავებდა მას თბილისის სხვა უბნებისაგან. ჩვენამდე მოაღწია ძველი  
8 ავლაბრის მხოლოდ მცირე ნაწილი. მეტეხის კლდის გასწვრივ აგებული  
9 შენობები განუმეორებელ ხიბლს ქენს დედაქალაქს. ბანიანი სახლები და  
10 მოხუქურთმებული აივნები გულგრილს დღესაც არ სტოვებს მნახველებს.

**ნიმუში: 0** — მტკვარის —  
0 ——— ✓ ———

(8) 20. ტექსტში დაშვებულია სულ 6 სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომა და სტილისტური ხარვეზი. **გაასწორეთ** ეს შეცდომები და ხარვეზები და **ისე გადაწერეთ ტექსტი**, რომ წინადადებების შინაარსი არ შეცვალოთ. თუ არ დაუშვებთ არც ერთ შეცდომას, დამატებით მოგეცემათ 2 ქულა, ერთი შეცდომის დაშვების შემთხვევაში – 1 ქულა. გაითვალისწინეთ, ერთ წინადადებაში შეიძლება შეგხვდეთ ერთზე მეტი შეცდომა ან ხარვეზი.

ელექტრონული კავშირგაბმულობის განვითარება საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. 1858 წელს დაიყარდა პირველი სატელეგრაფო კავშირი თბილისსა და კოჯორს შორის. აპარატურის დამონტაჟება მოახდინა ვალტერ სიმენსმა, ვინც ცნობილი გერმანული ფირმის წარმომადგენელი იყო ჩვენს ქვეყანაში. თბილისზე გადიოდა ინდოეთ-ევროპის სატელეგრაფო ხაზი. მას საგანგებოდ ემსახურებოდა არაერთი სადგური მსოფლიოს მრავალ ქალაქში რომლის რიცხვსაც 1870 წლიდან თბილისიც შეემატა. თბილისის სადგური აზიასა და ევროპას შორის ხიდის ფუნქციას ასრულებდა. ცხადია სპეციალისტები ამიტომაც ანიჭებდნენ მას ძალიან უდიდეს მნიშვნელობას.

### III. ქართული ლიტერატურა

- (1) 21. იაკობ ხუცესის თხზულებაში „შუშანიკის წამება“ ვკითხულობთ:  
„ხოლო ზრახვითა იყო [სპარსი] იგი ვარსქენისითა და ზაკუვით იტყოდა ამას და უნდა მონადირებაი ნეტარისაი მის“.  
როგორი იყო, ავტორის აზრით, სპარსი? (ციტირება დაუშვებელია!)
- (1) 22. იოვანე საბანისძის თხზულებაში „აბოს წამება“ ვკითხულობთ:  
„განსწავლულ ვიყავ შჯულითა მით მაჰმედისითა და ვცხოვნიდებოდე მას შინა, ვიდრე უმეცრებასა შინა ვიყავ“.  
გადმოეცით თქვენი სიტყვებით მთელი მონაკვეთის შინაარსი.
- (1) 23. გიორგი მერჩულის თხზულებაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ვკითხულობთ:  
„ხოლო მამასა გრიგოლს სწადოდა მარტოდ დაყუდებაი, რამეთუ ესმოდა ანგელოზებრივი ცხორებაი მარტოდ მყოფთაი მათ სივრცესა მას შინა უდაბნოსასა“.  
დაასახელეთ, კონკრეტულად რის გამო სურდა გრიგოლს „მარტოდ დაყუდებაი“. (ციტირება დაუშვებელია!)
- (4) 24. ქაჯეთის ციხიდან გამოგზავნილ წერილში ნესტანი სწერს მიჯნურს:  
„მზე უშენოდ ვერ იქნების, რათგან შენ ხარ მისი წილი.  
განაღამცა მას ეახელ მისი ეტლი, არ თუ წბილი!  
მუნა გნახო, მადვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი,  
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი!“  
1. როგორ წარმოიდგენს მიჯნურს ნესტანი პირველი სტრიქონის მიხედვით?  
2. განმარტეთ, რა იგულისხმება გადატანითი მნიშვნელობით სიტყვებში: „გული ჩრდილი“.  
3. რატომ მიიჩნევს ნესტანი, რომ მისი სიცოცხლე გამწარებულია?

4. ნესტანის ხასიათის რა თვისება ვლინდება ამ სტროფში?

- (1) 25. წიგნში „სიბრძნე სიცრუისა“ მეფესთან საუბრის დროს უფლისწული ამბობს:  
„ერთმან გლახაკმან თქვა: მეფეთა ვჯობვარო ამად, რომ მე რაც მაქვს, მეყოფის და კიდევ ვჯერვარო; და მათ ხმელეთი იშოვონ, არ იმყოფინებენ და არც გაძღებინო!“  
რომელი ადამიანური სისუსტის შესახებაა აქ საუბარი? (ციტირება დაუშვებელია!)
- (2) 26. წიგნში „დავითიანი“ ვკითხულობთ:  
„მოკლეა ესე სოფელი, კაცს არ შერჩების წამ ერთო,  
რაც მომებოდა თავიდგან, ბოლოჟამ ისევ წამერთო!  
მან დამიკვანდა, მუხთალმა, მე რაცა მეხვეწა-მერთო,  
მის გამო სევდით მე გული, ვით შეშა, ცეცხლზე წამერთო“.  
1. განმარტეთ, რას ნიშნავს სიტყვები – „მე გული, ვით შეშა, ცეცხლზე წამერთო“.  
2. გადმოეცით იმ სტრიქონის აზრი, რომელშიც სტროფის მთავარი სათქმელია გამოხატული.  
(ციტირება დაუშვებელია!)
- (1) 27. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსში „გაჰ, დრონი, დრონი“ ვკითხულობთ:  
„ჰსაჯეთ: პერობილმან უწყისა ტრფობა?  
საცა გინდ ვიყო, მასთან ვარ მარად,  
მე იგივე ვარ მარად და მარად!  
არ ვსდევ ჟამთა ცვლას,  
მე იგივე ვარ მარად და მარად!“  
განმარტეთ, რა არის, ამ სტროფის მთავარი სათქმელი.
- (1) 28. გრიგოლ ორბელიანის პოემაში „სადღეგრძელო“ ვკითხულობთ:  
„ან რაღას ველი სოფლისგან, რა მიხარიან, რა მინდა?  
რაც ვიყავ, იგი აღარ ვარ, ვერც კი ვგრძნობ, რაცა მიყვარდა;  
დღე ყოველ, ჟამი ყოველი მაკლებს რასამე კეთილსა.  
ვჰმზერ მწუხარებით მომავალს და ვჰსწყევლი ფუჭად წარსულსა“.  
განმარტეთ, პოეტის რა სულიერი მდგომარეობაა გამოხატული ამ სტროფში.
- (2) 29. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „სულთ ბოროტო“ ვკითხულობთ:  
„მარტვი, რა იქმენ საკვირველნი ესე აღთქმანი?  
რად მომიხიბლეს, აღმირიე წრფელნი ზრახვანი?  
სად ხარ, აღმშფოთო, მიპასუხე, ნუ იმალები,  
რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?“  
1. ამოიწერეთ სინონიმი სიტყვისა – დაპირებანი.  
2. განმარტეთ, პოეტის რა ტრაგიკული განცდაა ამ სტროფში გამოხატული.
- (1) 30. ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“ ვკითხულობთ:  
„[ლუარსაბმა და დარეჯანმა] შეიტყეს, რომ ქალაქში ერთი მკითხავია, ის შეიტყობს უშვილობის მიზეზსაო... კაცი აფრინეს, თან გაატანეს ერთი კარგი ბაღდადი, რომელზედაც – როგორც მოგეხსენებათ – უკითხავს მკითხავი იმას, ვინც თვითონ ვერ მივა...“  
ლუარსაბისა და დარეჯანის რა თვისება ჩანს ამ მონაკვეთში?
- (2) 31. ილია ჭავჭავაძის პოემაში „განდგეილი“ ვკითხულობთ:  
„როგორ მოშორდი?!“ – „რა ვითხრა, შვილო?  
ყველაზე უფრო სული ტკბილია,  
იგი ტყვე არის წუთის-სოფლისა  
და ეგ ყოველი მის ბორკილია“.  
1. განმარტეთ, ამ სტროფის მიხედვით რა არის განდგეილის ცხოვრების მიზანი.  
2. განმარტეთ, როგორაა დახასიათებული ამ სტროფში წუთისოფელი.
- (1) 32. აკაკი წერეთლის პოემაში „თორნიკე ერისთავი“ სარდალი მიმართავს მეომრებს:  
„სიკვდილი ყველას ათანასწორებს:  
თვისიანს, უცხოს, მტერს და მოყვარეს!..  
ვეცადოთ ყველა და ნუ დავაკლებთ  
დაჭრილებს მოვლას და მკვდრებს სამარეს“.  
თორნიკე ერისთავის რა თვისება ჩანს პოემის ამ მონაკვეთში?

- (1) 33. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობაში „ხევისბერი გონა“ ვკითხულობთ:  
 „– სთქვი, თუ სათქმელი რაიმე გაქვს! – გაიმეორა გონამ და ხმამ მხოლოდ ერთს ადგილას უღალატა, ერთგან გაისმა დანჟღერეულს სიმაღ“.  
 გონას რა სულიერი მდგომარეობა ჩანს ამ მონაკვეთში?
- (2) 34. ვაჟა-ფშაველას პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“ ვკითხულობთ:  
 „ქისტებს ორგული ვგონივარ,  
 გამდგარი თავის რჯულზედა,  
 ჰფიქრობენ, ვითომ ჯოყოლამ  
 თავი გაჰყიდა ფულზედა“.  
 1. ამოიწერეთ სტრიქონი, რომელიც აღნიშნავს რწმენის უარყოფელს.  
 2. განმარტეთ, ჯოყოლას რა სულიერი მდგომარეობაა გამოხატული ამ სტროფში.
- (1) 35. დავით კვლიაშვილის მოთხრობაში „სამანიშვილის დედინაცვალი“ ვკითხულობთ:  
 „...მოხუცებულ ბეკინას ძალიან იამა გუნებაში ისიც, რომ ქალის მოტაცება სჭირდებოდა. ბეკინას გაახსენდა ყმაწვილკაცობა, ამისთანებს ჩვეული გიჟმაჟობა. ეს გარემოება რომ გაახსენდებოდა, რაღაც შემატებულ სიცოცხლეს ჰგრძნობდა, სასიამოვნო ღიმილი ეფინებოდა სახეზე“.  
 მოხუცებული ბეკინას რა თვისება ჩანს ამ მონაკვეთში? (ციტირება დაუშვებელია!)
- (2) 36. ნაწარმოებში „ჰაკი აბა“ ლეო ქიაჩელი მოგვითხრობს:  
 „თავად ჩაჩბას დატყვევების ამბავი, თითქოს [ხალხის] ყურთასმენას სრულიად აცდაო, არაფრად ჩააგდო. ერთი საათის ვადა ყველას ცეცხლივით შეეკიდა და შიგ ტვინში აუვარდა. უმწეობისა და სასოწარკვეთილების გმინვა გაისმა“.  
 1. განმარტეთ, როგორია საზოგადოების დამოკიდებულება ბეჩირბი ჩაჩბას მიმართ.  
 2. ამოიწერეთ ამ მონაკვეთიდან შედარება (არა უმეტეს ორი სიტყვისა).
- (2) 37. კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ ვკითხულობთ:  
 „სტეფანოზ ბერის დასაფლავებაზე სიტყვა წარმოსთქვა მთავარეპისკოპოზმა, რაჟდენმა. მწვალებლები გყავსო მცხეთაში, ამიტომაც არ გვმორდებოა ჟამი. ბოლოს პირუთვნელად ამხილა ფარსმან სპარსი, იგიაო მწვალებელთა მამამთავარი... გააფთრებული ბრბო შინ მიეჭრა ფარსმანს, ჩაქოლვას უპირებდნენ...“  
 1. განმარტეთ, ფარსმანის მიმართ რაუდენის როგორი დამოკიდებულება ჩანს ამ მონაკვეთში.  
 2. განმარტეთ, ბრბოს რა თვისება ჩანს ამ მონაკვეთში. (ციტირება დაუშვებელია!)
- (1) 38. მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „ჯაყოს ხიზნები“ ვკითხულობთ:  
 „რევოლუციის გრიალში თეიმურაზ ხევისთავის კნავილი ვერავინ გაიგონა, ხოლო მისი ათი წლის ნაშენები და ნაცოდვილარი წითელმა გოლიათმა ქინძისთავისოდენა ლუკმასავით ჩაჰყლაპა“.  
 განმარტეთ, რა არის ამ მონაკვეთის მთავარი სათქმელი.
- (2) 39. გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ ვკითხულობთ:  
 „მაქვს მკერდს მიდებულ  
 ქნარი, როგორც მინდა,  
 ჩემთვის დიდებული  
 სხივი გამობრწყინდა.  
 მკვიდრად ააშენა,  
 ვინაც ააშენა  
 და ცით დაამშვენა  
 დიდი ნიკორწმინდა“.  
 1. რას აღარებს პოეტი ნიკორწმინდის ტაძრის ხილვას?  
 2. განმარტეთ, რა იგულისხმება გადატანითი მნიშვნელობით სიტყვაში „ქნარი“.
- (1) 40. გიორგი ლეონიძის ლექსში „ღამე ივერისა“ ვკითხულობთ:  
 „დახანძრებული წევს ივერია,  
 მტკვარზე წნორები უკრავენ თარებს  
 მეტივეები სადღაც მღერიან,  
 სოფლის გუბეში გაჩრილა მთვარე...“  
 რომელ მხატვრულ საშუალებას იყენებს ავტორი მეოთხე სტრიქონში?

#### IV. წერიტი დავალება

##### წერიტი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანიტ დავალებებს, გაიაზრეთ ისინი, აირჩიეთ და შეასრულეთ მათგან მხოლოდ ერთი. ნაშრომი, რომელიც დავალებას არ უპასუხებს ან ენობრივად იმდენად გაუმართავი იქნება, რომ აზრის გაგება გაჭირდება, ანდა 150 სიტყვაზე ნაკლები მოცულობისა აღმოჩნდება, არ შეფასდება.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებულია, არ შეფასდება და თხზულების მოცულობის განსაზღვრისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

თითოეულ წერით დავალებას თან ახლავს სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი, თუნდაც მთელი ნაწარმოების შინაარსის თხრობა (პერიფრაზი და შინაარსი ნაშრომის მოცულობის განსაზღვრისას მხედველობაში არ იქნება მიღებული). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (მაგალითებით საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცელი შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ იგი). თხზულებისათვის გამოყოფილი ფურცლის დასაწყისში მოცემულია წერიტი დავალებების ნომრები (№1, №2 და №3); შემოხაზეთ ის ციფრი, რომელიც თქვენ მიერ არჩეული დავალების ნომერს შეესაბამება.

შეცდომები გადახაზეთ, ნუ დაჯდაბნით.

წერიტი დავალების მაქსიმალური ქულაა 20.

#### დავალება № 1

##### გიორგი მერჩულე მოგვითხრობს:

„ხოლო აცთუნა მტერმან ხელმწიფეი იგი და მოიყვანა მან დედაკაცი სიძვისაი ცხესა მას შინა. და ვითარცა ესმა ნეტარსა გრიგოლს საქმე იგი სულისა განმხრწნელი, შეწუხდა ფრიად. და ამხილა პირისპირ ხელმწიფესა მას. ხოლო მან აღუთქვა ცოდვისა მის განტევებაი და დედაკაცისა მის წარგზავნაი, ვითარცა მოეყვანა იგი. და ვერ დაამტკიცა თვისი ბრძანებაი, რამეთუ დაემონა გულისთქუმასა.

ხოლო ნეტარმან გრიგოლ პოვა ჟამი მარჯუე, ოდესცა კურაპალატი შორს იყო არტანუჯსა. დღესა ერთსა შატბერდით წარვიდა და მიიწია მიმწუხრი ძირსა მას ციხისასა. და კაცი მიუვლინა დედაკაცსა მას ჭამადისა თხოვად და მუნ დადგომისა მიხეზი შეუთუალა. ხოლო მან სიხარულითა დიდითა განიხარა და მრავალფერი სანოვაგე წარსცა წმიდისა მისთვის და მოწაფეთა მისთა. და ვითარცა განთენა, კუალად მოუვლინა კაცი, რაითა მივიდეს ხილვად მისა. მაშინ უფროისად განმხიარულებული მსწრაფლ მოვიდა წმიდისა მის ორთა თანა მხევალთა თვისთა, რაითამცა ღირს იქმნა ჯუარსა ნეტარისა მის კაცისასა.

ხოლო მან არა დასწერა ჯუარი, არამედ უბრძანა განშორებულად დაჯდომაი. და მოწაფენი კიდერე განდგეს წამისყოფითა მოძღურისა თვისისაითა და ეგრეთვე – მსახურნი იგი დედანი, რამეთუ წმიდისა მის შიში ყოველთა ზედა მიფენილ იყო. მაშინ ჰრქუა მას ნეტარმან გრიგოლ: „ჰოი, საწყალობლო! რაისათვის შორის ცოლ-ქმართა შთაჭრილ ხარ წარსაწყმედელად შენდა საუკუნოდ ბოროტითა მით ცოდვითა, რომლითა დამონებულ ხარ ეშმაკისადა და ცუდითა რაითმე მიხეზითა საბრხე ქმნულ-ხარ დიდისა ხელმწიფისადა?!“ ხოლო მან ცრემლით ჰრქუა: „წმიდაო ღმრთისაო, მე თავსა ჩემსა ზედა ვერ თავისუფალ ვარ, ვინაითგან გარდარეული სიყუარული აქუს ჩემდა მომართ კურაპალატსა. და აწ არა უწყი, თუ რაი ვყო, რამეთუ ბრძანებამან სიტყუათა შენთამან შემადრწუნა ფრიად“. ხოლო წმიდამან მან ჰრქუა: „შვილო, იქმენ სრულიად მორჩილ სიტყუათა ჩემ



გლახაკისათა და მე თავსმდებ გექმნე ქრისტეს მიმართ, რაითა მან თავადმან ყოველნი ბრალნი შენნი შეგინდუნეს“. და მან ჰრქუა: „წმიდაო მამაო, ხელთა შენთა ვარ, უმჯობესი სულისა ჩემისაი იზრუნე“.

მაშინდა ჯუარი დასწერა და აკურთხა ლოცვითა და შეჭურა მადლითა და მისცა თვისთა ხამლთა საბელი, რაითა სარტყლად შეირტყას. და მან ყო ეგრეთ. და ესრეთ მოიყვანა იგი მერეს, რამეთუ პირველვე განზრახვანი ნეტარისაი დედისა თანა იყო, და შეჰვედრა იგი მას.

ხოლო რაჟამს მიიწია კურაპალატი ციხედ, იკითხა ხოლო დედაკაცი იგი. და ვითარ არა პოვა, ფრიად შეიურვა, გულისხმა-ყო რაი ყოველი იგი ყოფილი საქმე. და რამეთუ არა ღონითა რაითმე კაცობრივთა მახეთაითა იყო ტრფიად მისა მიმართ ხელმწიფე იგი, არამედ ეშმაკისა მანქანებითა ესოდენ ძლეულ იყო, რომელ თავმთონეობაი დაავიწყდა და მსწრაფლ ხოლო მოვიდა მერეს. ხოლო ნეტარმან ფებრონია დამალა დედაკაცი იგი. და ვითარ ილოცა კურაპალატმან ეკლესიასა წმიდისა ღმრთისმშობლისასა და მიიღო ლოცვაი დედისა ფებრონიასი, მაშინ იწყო სიტყუად: „უწვი-მეა, დედაო, რაისათვის მოვედ აწ?“ ხოლო მან ჰრქუა: „უფალმან იცის, რაისათვის ჰბრძანე აქა“. და მან ჰრქუა: „ამის მიზეზისათვის იქმნა მოსლვაი ჩემი, რამეთუ სახლისა ჩუენისა მეჭურჭლე ქალი იყო და ყოველი მონაგები ჩუენი ხელთა მისთა იყო, და მამასა გრიგოლს აქა წარმოუყვანებია და ფრიადი დაგუაკლდა საფასეთა ჩუენთაგანი. აწ უბრძანე, რომელ ერთხელ ციხედ მოვიდეს და ყოველი მოგვითუალოს და კუალად თქუენდავე მოვიდეს, ვითარცა უნდეს“. ხოლო ფებრონია ჰრქუა მას მკუეთრ: „მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა კაცთა თანა, რომელნი იქმან უმჯულოებასა“. ესე რაი ესმა კურაპალატსა, სირცხვილეულ იქმნა მართლმხილებისა მისგან კდემული და მყოვარჟამ დადუმნა, ვითარცა ძლეული, რამეთუ ხორციელად ძლიერსა ხელმწიფესა სულითა ძლიერთა კაცთა სძლეს, შეჭურვილთა მათ საღმრთოთა შურითა. ხოლო შეურვებულმან კურაპალატმან გულისა შეჭირვებისაგან თქუა: „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს!“

**გაანალიზებთ მოცემული მონაკვეთი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ, როგორ იხატება გრიგოლ ხანძთელის სახე (ყურადღება მიაქციეთ მის დამოკიდებულებას, ერთი მხრივ, კურაპალატისა და, მეორე მხრივ, „სიძვის დედაკაცის“ მიმართ);
- იმსჯელეთ, როგორ წარმოგვიდგენს ავტორი აშოტ კურაპალატის პიროვნებას;
- იმსჯელეთ, რა არის ამ მონაკვეთის მთავარი სათქმელი და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება წამოჭრილი პრობლემის მიმართ.

**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

**დავალება № 2**

**აღუდამ კურატი მიიყვანა ხატობაზე და ხვეისბერ ბერდიას უთხრა:**

„– ეგ სამხვეწროა, ბერდიაჲ,  
ძოდან მოკლულის ქისტისა.  
მუცალს ეტყოდენ სახელად,  
მაუნათლავის შვილისა.  
კარგადაც დამიწყალობნე,  
გამიმეტებაჲ მისთვინა,  
როგორც უნდომლად მოკლულის  
თავის ღამაზის ძმისთვინა.  
– გაურჯულეზულს არჯულეზ,  
შენ ეგ არ შაგიხდებისა,  
ქისტისად საკლავის დაკვლა  
კარგად არ მოგიხდებისა.  
მამით არ მოდის ანდერძი,  
პაპით და პაპის-პაპითა,  
გონთ მოდი, ქრისტიანი ხარ,  
ურჯულოვდები მაგითა;  
ეშმაკს ნუ მისდევ... ეგ სიტყვა  
როგორ ამოგცდა ბაგითა?!  
რამდენ სხვა მაჰკალ, შენს ქავზე  
ხელეზ ჯღრდესავით ჰკიდია,  
ზოგი ლეკისა, სხვა ქისტის,  
მარჯვენეების ხიდია;  
ციკანიც არვის დაუკალ,  
განაღმც კურატი დიდია.

როგორ ვახვეწო უფალსა  
ძალდი, ძალღების ჯიშისა,  
მანამ სჯობს, ცანი დამექცენ,  
ზურგი გამისკდეს მიწისა,  
ან თუ ზღვამ დამნთქას უძირომ,  
სადილი ვსტამო ქვიშისა!  
ფერი ედება ბერდიას,  
ფერი სხვა-რიგის შიშისა.  
– ზღვენსა ნუ გამიმსუბუქებ,  
მადლი თუ გწყალობს ღვთისაო,  
ყმა ვარ მეც გუდანის ჯვრისა,  
ხვესური თქვენის წყლისაო,  
მითამ ერთნი ვართ, ბერდიაჲ,  
მცხოვრებნი ერთის მთისაო.  
– ტყუილად სცდები, აღუდაჲ,  
ტყუილად იცვეთ პირსაო.  
გაჯავრდა ქეთელაური,  
ფერი დაიდვა მგლისაო;  
ხელი დაიკრა ფრანგულსა,  
შუქი ამოხდა მზისაო,  
უქნევა მოზვერს ქედხედა,  
თავი მოგორავს ძირსაო.  
თან შაეხვეწა ბატონსა,  
ნუ შამიცოდებ შვილსაო,

აღლადა ჰქონდეს მუცალსა,  
მაგ მოუნათლავ გმირსაო.  
ბერდია ჯაგარაშლილი  
ხალხისკე იზამს პირსაო.  
– გაგონილაა, – იძახდა, –  
ასრე აგდება რჯულისა:  
საკლავს თვითონ ჰკლავს აღუდა,  
მამსსენე ქისტის სულისა.  
ხალხო, მინდარის გავიგო  
პასუხი თქვენის გულისა.  
დაჯარდით, ხევსურთ შვილებო,  
ყველანი – დიდნი, მცირენი,  
სამართალი ვქნათ, ვუმტვროთ  
აღუდას სახლის დირენი;

ნუ დაინანებთ, ექმნენით  
ცოლ-შვილის ამატირენი.  
მოკვეთილ იყოს, სხვა ქვეყნის  
ცა-ღრუბლის შანამზირები.  
წადით, უმტვრიეთ შაგ-ბნელსა  
სახლისა, ციხის კარები.  
ცეცხლი მიეცით საძნოვარს, –  
ცასა სწვდებოდეს ალები,  
სათემოდ გამოირეკეთ  
ცხვარი, ძროხა და ხარები.  
შატილს ცოლ-შვილი უტირეთ,  
გუდანს – შინში და ქალები;  
პრისხავდეს ჩვენი ბატონი,  
არ არის შესაბრალები“.

**გაანალიზეთ მოცემული მონაკვეთი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ აღუდას ზნეობრივი და მსოფლმხედველობრივი პოზიციის შესახებ (ყურადღება მი-  
აქციეთ მის ნათქვამს – „ჰმა ვარ მეც გუდანის ჯვრისა...“);
- იმსჯელეთ ბერდიას ქცევის მოტივაციის შესახებ;
- იმსჯელეთ, რა არის ამ მონაკვეთის მთავარი სათქმელი და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდე-  
ბულება წამოჭრილი პრობლემის მიმართ.

**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

**დავალება № 3**

**ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ილია ჭავჭავაძის პოემიდან „აჩრდილი“:**

„წარვლილთა დღეთა შენთა მახსოვს დიდებულება,  
ვიცი, რომ იყავ ერთხელ შენცა მორტყულ-ძლიერი,  
შენცა გფენია ქვეყნის მადლი – თავისუფლება,  
ეხლა აღგვილა ყველა ესე, ვითარცა მტვერი...  
და ძესა შენსა დღეს არც კი სწამს შენი აღდგენა,  
განწირულების შთასდგომია მას გულში წყლული,  
მას დაჰკარგვია ტანჯვათ შორის შენდამი რწმენა  
და დაუგდისხარ ვით ტაძარი გაუქმებული.  
ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას  
და მცნების ნათლით ზე-აღზიდულ, ამადლებული  
ჭკვით არ განსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას,  
იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული,  
უქმისა დრტვინვით, გულის-წვითა მწარე ცრემლს დაღვრის,  
მაგრამ არ ირწმენს, წამებული, შენს აღდგენასა,  
და იგი ცრემლი ურწმუნობის, ეჭვის და ტანჯვის,  
ჰდაღადებს მხოლოდ ძისა შენის უძღურებასა“.

**მიხედვით ჯაგარაშლილის რომანში „ჯაყოს სიზნები“ თეიმურაზი ესაუბრება ივანეს:**

„– ხა-ხა! – გესლით ჩაიხითხითა თეიმურაზმა. – ქართული სული! ქართული კულტურა! ქარ-  
თული სული ზღაპარია, ქართული კულტურა ჭორია! ერთი სული მხოლოდ ერთს მთლიანს ერს  
აქვს, ქართველობა კი, როგორც ფსიქიური და ეროვნული ერთეული, არ არსებობს. აბა, დააკვირ-  
დი, რა აქვთ საერთო ქართლელსა და მეგრელს, კახელსა და ქვემო იმერელს, ხევსურსა და  
გ...გგურულს?..

– ერი უკვდავია.

– უკვდავია მხოლოდ მეტაფიზიკური ბოდვა, დრო და მისტიური ზღაპარი. ეხლა უკვდავება  
შეყვარებულ სტუდენტსაც აღარ სჯერა. რაღა შორს წავიდეთ. აქვე, ჩვენივე გვერდით, წინა აზიის  
გულში სამუდამოდ აღიგავა დედამიწის ზურგიდან და კაცობრიობის ხსოვნიდან ასიოდე ერი, შე-  
იძლება ორასიც და ხ...ხუთასიც. ისტორიამ მათი სახელებიც კი არ იცის... ყველანი დრომ შ...ესტა-  
მა და მოინელა, ხოლო დროს წინაშე უკვდავი არაფერია. მასთან შედარებით ღმერთიც კი უძლუ-  
რია. ჩვენც იმ გადაშენებულთა ბედი მოგვევლის.

– თუ აგრეა, მაგისტანა ბედი ყველას მოელის.

– მართალია, მაგრამ ჩვენ ხვალ ან ზევ უკუნეთს უნდა ჩავბარდეთ, ზოგნი კი მხ...მხოლოდ გუ-  
შინ დაიბადნენ.



# I ვარიანტი

## I. წაკითხულის გააზრება

1. ბ) \_\_\_\_\_1ქ. 2. გ) \_\_\_\_\_1ქ. 3. ა) \_\_\_\_\_1ქ. 4. ა) \_\_\_\_\_1ქ. 5. ბ) \_\_\_\_\_1ქ.  
6. გ) \_\_\_\_\_1ქ. 7. გ) \_\_\_\_\_1ქ. 8. ბ) \_\_\_\_\_1ქ. 9. ა) \_\_\_\_\_1ქ. 10. გ) \_\_\_\_\_1ქ.

## II. ქართული ენა

11. 1. ბ) \_\_\_\_\_1ქ. 2. გ) \_\_\_\_\_1ქ. 3. ბ) \_\_\_\_\_1ქ.  
12. გ) \_\_\_\_\_1ქ.  
13. ა) \_\_\_\_\_1ქ.  
14. გ) \_\_\_\_\_1ქ.  
15. 2; 5; 7; 8. \_\_\_\_\_4ქ.  
16. 1; 3; 7; 9. \_\_\_\_\_4ქ.  
17. 2; 7; 8; 9. \_\_\_\_\_4ქ.  
18. 2; 5; 7; 8. \_\_\_\_\_4ქ.  
19.

1. არა უგვიანეს ----1ქ. 2. მე-14 -----1ქ. 3. ✓-----1ქ. 4. ✓-----1ქ. 5. ✓-----1ქ.  
6. საგრძობლად ---1ქ. 7. ასხვავებდა --1ქ. 8. ✓-----1ქ. 9. სძენს -----1ქ. 10. ტოვებს ----1ქ.  
20. ელექტრონული კავშირგაბმულობის განვითარება საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. 1858 წელს დამყარდა პირველი სატელეგრაფო კავშირი თბილისსა და კოჯორს შორის. აპარატურა დაამონტაჟა ვალტერ სიმენსმა, რომელიც ცნობილი გერმანული ფირმის წარმომადგენელი იყო ჩვენს ქვეყანაში. თბილისზე გადიოდა ინდოეთ-ევროპის სატელეგრაფო ხაზი. მას საგანგებოდ ემსახურებოდა არაერთი სადგური მსოფლიოს მრავალ ქალაქში, რომელთა რიცხვსაც 1870 წლიდან თბილისიც შეემატა. თბილისის სადგური აზიასა და ევროპას შორის ხიდის ფუნქციას ასრულებდა. ცხადია, სპეციალისტები ამიტომაც ანიჭებდნენ მას უდიდეს მნიშვნელობას. \_\_\_\_\_ 8ქ.

## III. ქართული ლიტერატურა

21. ავტორის აზრით, სპარსი მზაკვარი (ვერაგი, ცბიერი, ფლიდი...) იყო.  
*მზაკვარი* \_\_\_\_\_1ქ.  
22. მე აღვიზარდე მაჰმადიანური წესით და უმეცარი ვიყავი, სანამ ვცხოვრობდი, როგორც მაჰმადიანი.  
*უმეცარი ვიყავი მანამ, სანამ მაჰმადიანური წესით ვცხოვრობდი* \_\_\_\_\_1ქ.  
23. გრიგოლს განმარტოებით ცხოვრება იმიტომ სურდა, რომ განდევნილობას დიდი მადლი ახლავს.  
*განდევნილად ცხოვრებას ანგელოზებრივი სიწმინდე ახლავს* \_\_\_\_\_1ქ.  
24. ნესტანი მიჯნურს წარმოიდგენს მზის ნაწილად (მზის ხვედრად). სიტყვებში „გული ჩრდილი“ გადატანითი მნიშვნელობით იგულისხმება დასვედიანებული (სიყვარულით დასნეულებული) გული. ნესტანი იმიტომ მიიჩნევს თავის სიცოცხლეს გამწარებულად, რომ ბედმა მიჯნურს მოაშორა. ამ სტროფში ვლინდება ნესტანის ერთგულება (ოპტიმიზმი).  
1. *მზის ნაწილად* \_\_\_\_\_1ქ.  
2. *დასვედიანებული (სიყვარულით დასნეულებული) გული* \_\_\_\_\_1ქ.  
3. *იმიტომ, რომ სატრფო დაკარგა* \_\_\_\_\_1ქ.  
4. *ერთგულება* \_\_\_\_\_1ქ.  
25. ამ ტექსტში ადამიანის სიხარბის (გაუმადლობის) შესახებაა საუბარი.  
*სიხარბის* \_\_\_\_\_1ქ.  
26. სიტყვები – „მე გული, ვით შეშა, ცეცხლზე წამერთო“ – ნიშნავს: დარდმა ჩემი გული შემასავით ცეცხლს შეუკეთა (გულზე ცეცხლი მომედო). წუთისოფელი ხანმოკლეა და ადამიანს არაფერს შეარჩენს.  
1. *გულზე ცეცხლი მომედო* \_\_\_\_\_1ქ.  
2. *ცხოვრება წამით გაირბენს* \_\_\_\_\_1ქ.  
27. ამ სტროფის მთავარი სათქმელი ის არის, რომ ღირიკული გმირი სამუდამოდ სატრფოს (სამშობლოს) ერთგული დარჩება (იგი დროის მსვლელობას არ ემორჩილება; სიყვარული მარადიული გრძნობაა).  
*პოეტი დროის მსვლელობას არ ემორჩილება* \_\_\_\_\_1ქ.

28. ამ სტროფში გამოხატულია პოეტის უიმედობა (უხასობა, სასოწარკვეთა...).
- უიმედობა* \_\_\_\_\_ 1ქ.
29. სიტყვა „დაპირებანის“ სინონიმია „აღთქმანი“ (აღთქმა). ამ სტროფში გამოხატულია პოეტის იმედგაცრუება (ბედით უკმაყოფილება, ცხოვრებით განხიბლვა).
1. „აღთქმანი“ \_\_\_\_\_ 1ქ.
2. *იმედგაცრუება* \_\_\_\_\_ 1ქ.
30. ამ მონაკვეთში ჩანს ლუარსაბისა და დარეჯანის ცრუმორწმუნეობა (სიბრიყვე, ჩამორჩენილობა, გონებრივი სიბნელება...).
- ცრუმორწმუნეობა* \_\_\_\_\_ 1ქ.
31. ამ სტროფის მიხედვით განდევილის ცხოვრების მიზანია სულიერი ამაღლება (წუთისოფლის ბორკილებისაგან გათავისუფლება). წუთისოფელი დახასიათებულია, როგორც სულის დამატყვევებელი (როგორც საცდური სულისათვის).
1. *სულიერი განწმენდა* \_\_\_\_\_ 1ქ.
2. *როგორც სულის შემბორკავი* \_\_\_\_\_ 1ქ.
32. ამ მონაკვეთში ჩანს თორნიკეს შემწყნარებლობა (კეთილშობილება, მიმტვევებლობა...).
- შემწყნარებლობა (მიმტვევებლობა)* \_\_\_\_\_ 1ქ.
33. ამ მონაკვეთში ჩანს გონას ძლიერი მღელვარება (დაძაბულობა, შეშფოთება...).
- შეშფოთება* \_\_\_\_\_ 1ქ.
34. რწმენის უარყოფელს აღნიშნავს სტრიქონი: „გამდგარი თავის რჯულზედა“. ამ სტროფში გამოხატულია ჯოყოლას შეშფოთება (გულისტკივილი).
1. „გამდგარი თავის რჯულზედა“ \_\_\_\_\_ 1ქ.
2. *აფორიაქება* \_\_\_\_\_ 1ქ.
35. ამ მონაკვეთში ჩანს ბეკინას ოპტიმიზმი (სიცოცხლის ხალისი, ახალგაზრდული ბუნება...).
- ახალგაზრდული ბუნება* \_\_\_\_\_ 1ქ.
36. ამ მონაკვეთში ჩანს საზოგადოების გულგრილობა (ეგოიზმი, ინდიფერენტულობა...).
- შედარებაა „ცეცხლივით შეეკიდა“
1. *გულგრილობა (ინდიფერენტულობა)* \_\_\_\_\_ 1ქ.
2. „ცეცხლივით შეეკიდა“ \_\_\_\_\_ 1ქ.
37. ამ მონაკვეთში ჩანს რაჟდენის შეუწყნარებლობა (შეურიგებლობა) ფარსმანის მიმართ. ამ მონაკვეთში ჩანს ბრბოს სისასტიკე (აგრესიულობა, უღმობლობა...).
1. *შეუწყნარებლობა* \_\_\_\_\_ 1ქ.
2. *უღმობლობა* \_\_\_\_\_ 1ქ.
38. ამ მონაკვეთით ავტორს იმის თქმა სურს, რომ რევოლუციამ თეიმურაზი გაანადგურა (ხევისთავის მიერ გაკეთებული საქმეები არარაობად აქცია).
- რევოლუციამ თეიმურაზ ხევისთავი გაანადგურა* \_\_\_\_\_ 1ქ.
39. პოეტი ნიკორწმინდის ხილვას აღარებს ზეციდან გადმოსული სხივის ბრწყინვალეობას. სიტყვაში „ქნარი“ გადატანითი მნიშვნელობით იგულისხმება პოეზია (ხელოვნება, შემოქმედება).
1. *სხივს* \_\_\_\_\_ 1ქ.
2. *პოეზია* \_\_\_\_\_ 1ქ.
40. ავტორი მეოთხე სტრიქონში იყენებს მეტაფორას.
- მეტაფორას* \_\_\_\_\_ 1ქ.

# II მასივი ქართულ ენასა და ლინგვისტიკაში

2008

## ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით საგამოცდო ტესტის ბუკლეტს და ისე შეავსეთ პასუხების ფურცელი. **ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი სამუშაოსათვის!**

**გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!**  
**პასუხების ფურცლის გააკცვა დაუშვებელია!**

წერეთ გარკვევით, იმყოფინეთ პასუხისათვის განკუთვნილი ადგილი. თუ კითხვას არ ახლავს აკრძალვა – ციტირება დაუშვებელია – შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც.

**დავალებების №№ 1-10** (წაკითხულის გააზრება) და **№№ 11-14** (ქართული ენა) შესასრულებლად აუცილებელია პასუხების ფურცლის შესაბამის უჯრედში გააკეთოთ აღნიშვნა – **X**. (იხ. დავალება 11).

**გაითვალისწინეთ, დავალებები №№ 15-18 უნდა შესრულდეს შემდეგნაირად:**

- პასუხების ფურცელში მოცემულია უჯრედების ჰორიზონტალური და ვერტიკალური რიგები (იხ. დავალება 17).
- ჰორიზონტალურ რიგებში იმდენი უჯრედი, რამდენი წინადადებაცაა (**№ 17 დავალებაში** – რამდენი ციფრიცაა) ამ დავალებებში;
- უჯრედთა ვერტიკალური რიგები შეცდომათა რაოდენობას შეესაბამება;
- პირველ ჰორიზონტალურ რიგში **X** უნდა დაისვას იმ წინადადების (ციფრის) რიგითი ნომრის ქვეშ, რომელშიც პირველი შეცდომაა დაშვებული; მეორე ჰორიზონტალურ რიგში **X** უნდა დაისვას იმ წინადადების (ციფრის) რიგითი ნომრის ქვეშ, რომელშიც მეორე შეცდომაა დაშვებული და ა. შ. (იხ. დავალება 17).

**პასუხების მონიშვნისას:**

- პასუხების ფურცელში მოძებნეთ დავალების ნომერი და თქვენი პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**;
- დასაშვებია **X** ნიშანი გასცდეს თეთრი უჯრედის ფარგლებს (იხ. ნიმუში), მაგრამ იგი უჯრედზე მოკლე არ უნდა იყოს;
- თუ რომელიმე რიგში ერთზე მეტ **X** ნიშანს დასვამთ, ეს დავალება არ შეფასდება;
- თუ გსურთ უკვე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ ეს უჯრედი (ან უჯრედები) და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (იხ. ნიმუში).

**ნიმუში:**

დავალება 11.	დავალება 17.																																																																		
<table border="1"> <tr> <td></td> <td>ა</td> <td>ბ</td> <td>გ</td> </tr> <tr> <td>1.</td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> </tr> <tr> <td>2.</td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> </tr> <tr> <td>3.</td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> </tr> </table>		ა	ბ	გ	1.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	2.	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	3.	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<table border="1"> <tr> <td></td> <td>1</td> <td>2</td> <td>3</td> <td>4</td> <td>5</td> <td>6</td> <td>7</td> <td>8</td> <td>9</td> </tr> <tr> <td>1.</td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> </tr> <tr> <td>2.</td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> </tr> <tr> <td>3.</td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> </tr> <tr> <td>4.</td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> </tr> </table>		1	2	3	4	5	6	7	8	9	1.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	2.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	3.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	4.	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
	ა	ბ	გ																																																																
1.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>																																																																
2.	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>																																																																
3.	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>																																																																
	1	2	3	4	5	6	7	8	9																																																										
1.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>																																																										
2.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>																																																										
3.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>																																																										
4.	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>																																																										

იმ შემთხვევაში, როდესაც პასუხი იწერება სიტყვიერად, შეცდომა შეგიძლიათ გადახაზოთ და გვერდით (ან ზემოთ) დაწეროთ სწორი პასუხი.

სამი წერითი დავალებიდან აირჩიეთ და შეასრულეთ **მხოლოდ ერთი**.

არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი. ის ნაშრომი, რომელზეც მითითებული იქნება აბიტურიენტის სახელი და/ან გვარი, ან პიროვნების იდენტიფიკაციის სხვა საშუალება (მაგალითად, მეტსახელი), არ გასწორდება!

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი და 30 წუთი.

**გისურვებთ წარმატებას!**

წაკითხულის გააზრებისა (№№ 1-10) და ქართული ენის (№№ 11-14) დავალებათა შესასრულებლად აუცილებელია პასუხების ფურცლის შესაბამის უჯრედში გააკეთოთ აღნიშვნა – X.

## I. წაკითხულის გააზრება

წაკითხეთ ტექსტი ბოლომდე. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყოთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. შეკითხვებს ყურადღებით გაეცანით და მოცემული სამ-სამი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი.

1. სავსებით უეჭველია, რომ ბუნების მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის, რომ ამ პროგრესზე დიდად არის დამოკიდებული ადამიანის მთლიანი პროგრესი, მისი ცხოვრებისა და ბედნიერების აღმავლობა...

2. მეორე მხრივ, ისიც ცხადი უნდა იყოს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი გარკვეულ ხიფათსა და სიძნელეებს ქმნის. მისი მიღწევებისადმი გაუფრთხილებელი მოპყრობის შემთხვევაში კაცობრიობა შესაძლოა კატასტროფის წინაშე აღმოჩნდეს. საკმარისია გავისხენოთ თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი მონაპოვარი – წყალბადის ბომბი, რომელსაც ძალა შესწევს აფეთქოს პლანეტა დედამიწა მთელი თავისი დასახლებით.

3. ის, თუ როგორ მოეპყრობიან ადამიანები პროგრესსა და მის მიღწევებს, როგორ, რა მიზნებისათვის გამოიყენებენ მათ, ეს მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ადამიანთა კულტურის დონეზე. მაგრამ საქმე ისაა, რომ აგრეთვე კულტურაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენას განიცდის, და, როგორც ფიქრობენ, ეს გავლენაც, განსაკუთრებით განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მკვეთრად უარყოფითი ხასიათისაა.

4. „კულტურასა“ და „ცივილიზაციას“ ხშირად ერთი და იმავე აზრით ხმარობენ ხოლმე, მაგრამ ფილოსოფოსები ზოგჯერ ასხვავებენ მათ და უპირისპირებენ კიდევაც ერთმანეთს... ცივილიზაციის მონაპოვარია, მაგალითად, სახნისი და გუთანი, მატარებელი და თვითმფრინავი და სხვ. კულტურის მონაპოვარი ძირითადად ზნეობრივი ცნობიერებისა და მოღვაწეობის, ფილოსოფიურ-ჰუმანიტარული აზროვნებისა და მხატვრული შემოქმედების სფეროში ძვეს.

5. კულტურასა და ცივილიზაციას შორის განსხვავება რამდენადმე პირობითი ხასიათისაა. კულტურის განვითარება შეუძლებელია ცივილიზაციის გარკვეული დონის გარეშე, ხოლო კულტურული დეგრადაცია პრინციპულ საფრთხეს ქმნის ცივილიზაციისათვის. კულტურული პროგრესი ცივილიზაციის პროგრესის ბაზაზე ხორციელდება.

6. ისიც ცხადია, რომ ცივილიზაცია საფრთხეში ვარდება, როცა ქრება ერთიანობისა და ურთიერთგაგების, სიყვარულისა და ურთიერთანგარიშგაწევის, ურთიერთპატივისცემის კულტურული პათოსი და მის ადგილს ეგოისტური ურთიერთდაპირისპირებისა და აგრესიის „უკულტურო“ განწყობილება იკავებს. კულტურული პათოსის განელება და დაცემა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, გასაქანს აძლევს ომს, ხოლო ომი ანგრევს და ანადგურებს ცივილიზაციის მონაპოვარს.

7. იდეალის მიხედვით, კულტურასა და ცივილიზაციას შორის ურთიერთობა ჰარმონიული სახით იაზრება – ცივილიზაცია განიხილება არა როგორც თვითმიზანი, არამედ როგორც აუცილებელი ბაზა „ადამიანური ძალის განვითარებისათვის“ ანუ კულტურული პროგრესისათვის. თუმცა, ცივილიზაციას შეუძლია კულტურის წინააღმდეგ მიიმართოს.

8. როცა საზოგადოებაში ჭარბობს ცივილიზაციის მიმართულებით მოღვაწეობა, მაშინ კულტურული დეგრადაცია გარდუვალი ხდება. მხედველობაში აქვთ მხოლოდ ის, რაც ბიოლოგიურ არსებობას სჭირდება და ავიწყდებათ ის, რაც ამის იქით და ამის ზევით აუცილებელია ადამიანისათვის... მხედველობაში აქვთ ის, თუ როგორ შეიძლება ბუნების ძალებისა და ბუნებრივი მასალის დამორჩილება, მაგრამ მხედველობის გარეშე რჩებათ ამ დამორჩილების ძირითადი ადამიანური აზრი და მიმართულება. ზედმიწევნით კარგად იციან, მაგალითად, როგორ შეიძლება წიგნის დაბეჭდვა და გამოქვეყნება, მაგრამ არ იციან, თუ რა უნდა დაიწეროს და ითქვას ამ წიგნში, რათა მკითხველთა გულსა და გონებაზე კეთილი ზემოქმედება იქონიოს.

9. ის, რაც ბიოლოგიური არსებობის თვალსაზრისით მოსახერხებელი, შემამსუბუქებელი, ხელსაყრელი და მომგებიანი ჩანს, ხშირად მავნე და წამგებიანია სულიერ-კულტურული დონის თვალსაზრისით: ადვილი მისახვედრია, რომ სიყვარული, თანაგრძნობა, ურთიერთპატივისცემა, ურთიერთანგარიშგაწევა და სხვა „კულტურული გრძნობები“ ყოველთვის რამდენადმე ზღუდავენ ბიოლოგიური ორგანიზმის მოთხოვნილებებს. საბოლოო ანგარიშით, საზოგადოებისა და კაცობრიობის ბიოლოგიური არსებობა საფრთხეში ვარდება ამ „კულტურული გრძნობების“ გადაგვარების გამო.

**ზურაბ კაკაბაძე, კულტურის ზოგიერთი საკითხი, წიგნში: ხელოვნება, ფილოსოფია, ცხოვრება, თბ., 1979.**

- (1) **1. რა არის II აბზაცის ფუნქცია?**  
 ა) I აბზაცში გამოთქმული მოსაზრების გადასინჯვა. ბ) I აბზაცში გამოთქმული მოსაზრების გამეორება. გ) I აბზაცში გამოთქმული მოსაზრების დასაბუთება.
- (1) **2. რა არის III აბზაცის უმთავრესი აზრი?**  
 ა) მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი დადებით ზეგავლენას ახდენს კულტურაზე.  
 ბ) მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი უარყოფით ზეგავლენას ახდენს კულტურაზე.  
 გ) მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს კულტურის განვითარებასთან შეხება არ აქვს.
- (1) **3. რა აკავშირებს IV და V აბზაცებს ერთმანეთთან?**  
 ა) V აბზაცში გამეორებულია IV აბზაცში გამოთქმული მოსაზრება.  
 ბ) V აბზაცში განვითარებულია IV აბზაცში გამოთქმული მოსაზრება.  
 გ) V აბზაცში ნახვენებია IV აბზაცში გამოთქმული მოსაზრების უმნიშვნელობა.
- (1) **4. რა არის VI აბზაცის უმთავრესი აზრი?**  
 ა) კულტურის დეგრადაცია არ უკავშირდება ცივილიზაციის განვითარებას.  
 ბ) კულტურის დეგრადაცია საფრთხეს უქმნის ცივილიზაციის განვითარებას.  
 გ) ურთიერთგაგების კულტურული პათოსის განვითარება გასაქანს აძლევს ომს.
- (1) **5. რომელ აბზაცშია გამოხატული აზრი, რომ მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა შესაძლოა კატასტროფა გამოიწვიოს?**  
 ა) II აბზაცში. ბ) III აბზაცში. გ) VI აბზაცში.
- (1) **6. რა შემთხვევაშია, VII აბზაცის მიხედვით, კულტურისა და ცივილიზაციის ურთიერთობა ჰარმონიული?**  
 ა) როდესაც ცივილიზაცია კულტურული პროგრესის წინააღმდეგაა მიმართული.  
 ბ) როდესაც ცივილიზაცია კულტურულ პროგრესს განაპირობებს.  
 გ) როდესაც ცივილიზაციის განვითარება კაცობრიობის თვითმიზნად იქცევა.
- (1) **7. რა იგულისხმება სიტყვებში: „ბუნებრივი მასალა“?**  
 ა) ინტელექტუალური რესურსები. ბ) კულტურული რესურსები. გ) მატერიალური რესურსები.
- (1) **8. რა უქმნის საფრთხეს კაცობრიობის ბიოლოგიურ არსებობას IX აბზაცის მიხედვით?**  
 ა) ბიოლოგიური მოთხოვნილებების შეზღუდვა. ბ) „კულტურული გრძნობების“ განვითარება.  
 გ) სულიერ-კულტურული დონის დაქვეითება.
- (1) **9. რის შესახებ არ მსჯელობს ავტორი ამ ტექსტში?**  
 ა) კულტურისა და ცივილიზაციის ურთიერთმიმართების შესახებ.  
 ბ) ცივილიზაციათა ურთიერთდაპირისპირებით გამოწვეული საფრთხის შესახებ.  
 გ) ცივილიზაციის განვითარებასთან დაკავშირებული საფრთხის შესახებ.
- (1) **10. რა არის მთელი ტექსტის უმთავრესი აზრი?**  
 ა) განსხვავება კულტურასა და ცივილიზაციას შორის პირობითი ხასიათისაა.  
 ბ) კულტურის განვითარება საფრთხეს უქმნის ცივილიზაციას.  
 გ) სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი საფრთხეს უქმნის კაცობრიობას.

## II. ქართული ენა

- (3) **11. ტექსტში გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა. ქვემოთ მოცემული ვარიანტებიდან შეარჩიეთ კონტექსტისათვის უფრო შესაფერისი.**  
 ოქროს კეთილშობილ ლითონს (1) . . . მას პირველყოფილი ადამიანი სპილენძზე ადრე მოიპოვებდა. ოქრო ბუნებაში ძირითადად თვითნაბადი სახით გვხვდება და თითქმის (2) . . . შეიცავს ვერცხლს, სპილენძსა და ზოგიერთ სხვა ლითონს. მას უმთავრესად საიუველირო ნაკეთობების (3) . . . იყენებენ.

- |                      |                   |                   |
|----------------------|-------------------|-------------------|
| 1. ა) ეძახიან;       | ბ) უწოდებენ;      | გ) უხმობენ.       |
| 2. ა) მუდმივად;      | ბ) ნიადაგ;        | გ) ყოველთვის.     |
| 3. ა) გასამზადებლად; | ბ) დასამზადებლად; | გ) მოსამზადებლად. |

- (1) **12. რას ნიშნავს სიტყვათა მყარი შეხამება – თავისი დრო მოჭამა?**  
 ა) დათქმულ ვადაში ვერ ჩაეცია; ბ) დაძველდა, ვადა გაუვიდა; გ) დრო ტყუილად დაკარგა.



(1) 13. რაც წითლად ელვარებს, არის:

- ა) ქათქათა; ბ) ღაუღაუა; გ) ხახხახა.

(1) 14. უცხვირპირო გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს:

- ა) უბირს; ბ) უმეცარს; გ) უხასიათოს.

**№№ 15-18 დავალებების შესასრულებლად პასუხების ფურცელში მოცემულია უჯრედების ჰორიზონტალური რიგები, რომლებშიც იმდენი უჯრედი, რამდენი წინადადებაცაა (№ 17 დავალებაში – რამდენი ციფრიცაა) ამ დავალებებში, უჯრედთა ვერტიკალური რიგები კი შეცდომათა რაოდენობას შეესაბამება. პირველ ჰორიზონტალურ რიგში X უნდა დაისვას იმ წინადადების რიგითი ნომრის ქვეშ, რომელშიც პირველი შეცდომაა დაშვებული; მეორე ჰორიზონტალურ რიგში X უნდა დაისვას იმ წინადადების რიგითი ნომრის ქვეშ, რომელშიც მეორე შეცდომაა დაშვებული და ა. შ.**

(4) 15. რომელ წინადადებებშია დაშვებული მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომები?

1. ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა სინაზე მდებარეობდა. 2. გადმოცემის თანახმად, IV საუკუნეში კონსტანტინე დიდის დედამ სინაზე ტაძარი ააგებია. 3. ამ პერიოდიდან დაიწყო აქ სხვადასხვა ეროვნების ქრისტიანთა მრავალ საუკუნოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა. 4. თითო-ორი ქართველი სინაზე უკვე VI საუკუნეში გამოჩნდა, მოგვიანებით კი ისინი ისე მომრავლდნენ, რომ სათვისტომო დააარსეს. 5. მათი ძალისხმევით შეიქმნა მდიდარი წიგნსაცავი, რომელმაც სასულიერო მწერლობის არაერთი ძველი შემოგვინახა. 6. ამ ძეგლებში ნათლად წარმოჩნდა ქართველ მწიგნობართა ლიტერატურული ინტერესები. 7. XV საუკუნემდე ბერებს მატერიალურად სამშობლოდან ეხმარებოდნენ. 8. მოგვიანებით თავად-აზნაურობის მხარდაჭერა შესუსტდა, რაც საქართველოს მძიმე პოლიტიკური მდგომარეობით იყო გამოწვეული. 9. სწანს, ქართველთა კოლონიამ ამის გამო შეწყვიტა არსებობა.

(4) 16. რომელ წინადადებებშია დაშვებული სინტაქსური შეცდომები?

1. ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი ცხოვრობდა ძველ წელთაღრიცხვის 427-347 წლებში. 2. ოცი წლის პლატონი სოკრატეს მიაბარა მამამ, რომელმაც მომავალი ფილოსოფოსი საკუთარ მოძღვრებას აზიარა. 3. ის, რომ პლატონზე მასწავლებლის გავლენა დიდი იყო, ნათლად ადასტურებს მისი თხზულებები. 4. სოკრატეს მიმდევართა ფილოსოფიური სკოლებიდან ყველაზე ძლიერი პლატონისა იყო. 5. უნდა აღინიშნოს, რომ პლატონს თავისი მოძღვრება სისტემურად არ ჩამოუყალიბებია. 6. დიალოგის ფორმით დაწერილი მისი ნაშრომები იმავდროულად მხატვრული ნაწარმოებებიცაა. 7. შემდგომში ბევრმა სცადა ამ ორი ელემენტის შეხამება, მაგრამ ეს ვერავინ მოახერხა. 8. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ფილოსოფოსის ყველა დიალოგი დაუმთავრებელია. 9. დიალოგის ბოლოს პრობლემა თითქოს გადაუჭრელი რჩება, რადგან პლატონისათვის უმთავრესი საკუთრივ ძიების პროცესი იყო.

(4) 17. რომელი ციფრების ადგილას არის გამოტოვებული სასვენი ნიშნები?

ოქრომჭედლობა(1) ლითონის მხატვრული დამუშავების(2) უძველესი სახეობაა. ჩვენს ეროვნულ საგანძურს ამშვენებს ქართველ ოსტატთა მიერ შექმნილი ნაკეთობები(3) სამკაულები(4) სასმისები და სხვა. დღეს(5) ამ დარგის განვითარებაში(6) თავიანთი წვლილი შეაქვთ არა მარტო გამოცდილ მხატვრებს(7) არამედ ახალგაზრდებსაც. მათთვის დამახასიათებელია თამამი ფორმების ძიება. ახალი თაობა დიდ ყურადღებას უთმობს(8) როგორც მივიწვებული ტექნოლოგიების აღდგენას(9) ისე უახლესი მხატვრულ-ესთეტიკური ტენდენციების შერწყმას ტრადიციულთან.

(4) 18. რომელ წინადადებებში გვხვდება სტილისტური ხარვეზები?

1. თბილისში კალათბურთი XIX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში შემოვიდა. 2. სპორტის ამ სახეობამ მალე მოიპოვა პოპულარობა. 3. არაერთ დაწესებულებაში წარმოებდა საკალათბურთო გუნდების ჩამოყალიბება. 4. გუნდების სიმრავლის გამო საჭირო შეიქმნა მათი განაწილება ხუთი კატეგორიის მიხედვით. 5. 1927 წელს ქუთაისში ჩატარებული საქართველოს პირველი ჩემპიონატის ჩემპიონი გახდა თბილისის გუნდი „სინათლე“. 6. ქართული კალათბურთის განვითარებას განსაკუთრებული კვალი დაასვა თბილისის „დინამო“, რომელმაც ბევრჯერ გაახარა გულშემატკივრები თავისი მიღწევებით. 7. 1962 წელს მან ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა. 8. 1994 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს საკალათბურთო ნაკრები. 9. ამ დროიდან იგი რეგულარულად მონაწილეობს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურებში.

(10) 19. ტექსტში დაშვებულია მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომები. თხს სტრიქონში შეცდომა არ არის, ექვსში კი თითო-თითო შეცდომაა. სტრიქონის ნომრის გასწვრივ მოცემულ

ხაზებზე დაწერეთ თითოეული ეს სიტყვა **სწორი ფორმით**; თუ შეცდომა არ არის, გააკეთეთ აღნიშვნა ✓.

- ნიმუში: 0** კალა თბილისის გალაგანით შემოსაზღვრული უძველესი ნაწილია.  
**0** ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, ეს სახელწოდება მომდინარეობს  
**1** სიტყვიდან „ყალა“, რომელიც არაბულად ციხეს ნიშნავს. არსებობს  
**2** განსხვავებული ახსნაც, რომლის მიხედვითაც „კალა“ მხოლოდ ჰგავს  
**3** არაბულ „ყალას“. იგი ქართული წარმოშობისაა და კლდეს ნიშნავს.  
**4** მემატრიანეთა თხზულებებში დასახლება კალა იხსენიება არაუადრეს  
**5** მე-5-ე საუკუნისა. ვახუშტის მიერ შედგენილი გეგმა მრავალ საკითხს  
**6** ფენს ნათელს. ეს არის პირველი გრაფიკული საბუთი, რომელზედაც  
**7** ზუსტად აისახა ადრეფეოდალური თბილისის სტრუქტურა. ვახუშტიმ  
**8** შეძლო აელწერა იმ პერიოდის თბილისი, მისი გარეუბნები. მათ შორის  
**9** იყო კალაც, რომელსაც აბანოთუბნისაგან სოლოლაკის წყალი ჰყოფდა.  
**10** ეს უბანი თავისებური კოლორიტით დღესაც ამშვენებს დედაქალაქს.

**ნიმუში: 0** — გალაგანით —  
**0** ————— ✓ —————

(8) 20. ტექსტში დაშვებულია სულ 6 სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომა და სტილისტური ხარვეზი. **გაასწორეთ** ეს შეცდომები და ხარვეზები და **იხე გადაწერეთ ტექსტი**, რომ წინადადებების შინაარსი არ შეცვალოთ. თუ არ დაუშვებთ არც ერთ შეცდომას, დამატებით მოგეცემათ 2 ქულა, ერთი შეცდომის დაშვების შემთხვევაში – 1 ქულა. გაითვალისწინეთ, ერთ წინადადებაში შეიძლება შეგხვდეთ ერთზე მეტი შეცდომა ან ხარვეზი.

XVIII საუკუნის დამლევსათვის საქართველოში უკვე არსებობდა საფოსტო კავშირი რისთვისაც ურმებს იყენებდნენ. ქართული საფოსტო ურმის მოდელი მსოფლიო გამოფენაზედაც კი უჩვენებიათ ჩიკაგოში. როგორც ცნობილია 1900 წელს ბერლინის მუზეუმში წარმოდგენილი იყო არაერთი სურათი, რომელზედაც ორთველიანი ქართული ურმით ფოსტის გადაზიდვის პროცესი იყო აღბეჭდილი. 1805 წელს თბილისში მოხდა პირველი საფოსტო კანტორის გახსნა. ამის ინიციატორი ყოფილა მთავარმართებელი ციციანოვი, ვინც ძალიან უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქვეყანაში საფოსტო მიმოსვლის განვითარებას.

### III. ქართული ლიტერატურა

- (1) 21. იაკობ ხუცესის თხზულებაში „შუშანიკის წამება“ ვკითხულობთ:  
„ვინ არ სტიროდის მას, რომელსა არცა ჭირი ეხილვა, არცა შიში, არცა მახვილი, არცა პერობილებაი ქრისტეისთვის?!“  
*განმარტეთ*, რა ამძიმებს, ავტორის აზრით, ვარსკენის ცოდვას. (ციტირება დაუშვებელია!)
- (1) 22. იოვანე საბანისძის თხზულებაში „აბოს წამება“ ვკითხულობთ:  
„და იყო იგი ხელოვან, კეთილად შემზავებელ სულნელთა მათ საცხებელთა და სწავლულ იყო მწიგნობრობითა სარკინოზთაითა“.  
*გადმოეცით* თქვენი სიტყვებით მთელი მონაკვეთის შინაარსი.
- (1) 23. გიორგი მერჩულის თხზულებაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ვკითხულობთ:  
„ნეტარი საბან დაემორჩილა მეორედ ბრძანებასა კურაპალატისასა და უფროის ხოლო წიგნსა მამისასა. და მივიდა მათდა სასურველი იგი კაცი ღმრთისაი მოსურნეთა მათ თანა“.  
*რატომ* დაემორჩილა საბა „მეორედ ბრძანებასა კურაპალატისასა“? (ციტირება დაუშვებელია!)
- (4) 24. ქაჯეთის ციხიდან გამოგზავნილ წერილში ნესტანი სწერს მიჯნურს:  
„აწ სოფელმან უარესი ჭირი ჭირსა მომისართა,  
არ დასჯერდა ბედი ჩემი მათ პატიჟთა მრავალ-გვართა,  
კვლაცა მიმცა შესაპურობლად ქაჯთა, ძნელად საომართა;  
ბედმან გვიყო ყველაკაი, ჩემო, რაცა დაგვემართა!“
1. *გადმოეცით* თქვენი სიტყვებით პირველი სტრიქონის აზრი. (ციტირება დაუშვებელია!)
  2. *რით* არ დაკმაყოფილდა, ნესტანის თქმით, მისი ბედი? (ციტირება დაუშვებელია!)
  3. კონკრეტულად რა განსაცდელი მოუვლინა ბედმა ნესტანს? (ციტირება დაუშვებელია!)
  4. რას აბრალებს ნესტანი თავის ამგვარ მდგომარეობას?

- (1) 25. წიგნში „სიბრძნე სიცრუისა“ მეფესთან საუბრის დროს უფლისწული ამბობს:  
 „სამადლო საქმე მალვითა სჯობს და ღმერთიც უფროსად შეუწირავს: კაცმან შენზე სამ-  
 სახური ქმნას, იკეხდეს და ზვაობდეს – გეწყინება!“  
*რატომ უნდა აკეთოს ადამიანი „სამადლო საქმე მალვით“? (ციტირება დაუშვებელია!)*
- (2) 26. წიგნში „დავითიანი“ ვკითხულობთ:  
 „მათ ღმერთსა სცოდეს, ღმერთმან მათ პასუხი უყო ცოდვისა:  
 ცა რისხვით შუვა განიპის, ქვეყანა შეიძროდისა,  
 ვენახთ უწვიმის სეტყვანი, მზგავსი ნახეთქი ლოდისა,  
 მკალია დასცის ყანებსა, ქარი უქროლის ოდისა“.  
 1. *განმარტეთ*, რას ნიშნავს სიტყვები – „ქვეყანა შეიძროდისა“.  
 2. *გადმოეცით* იმ სტრიქონის აზრი, რომელშიც სტროფის მთავარი სათქმელია გამოხატული.  
 (ციტირება დაუშვებელია!)
- (1) 27. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსში „გოგჩა“ ვკითხულობთ:  
 „მაგრამ ნაქცევნი მისთა კიდეთ, ძაძით მმოსველნი,  
 საგლოვო ნაშთნი შენობათა კვლავ ეროვანთა,  
 სად ჰყვავებულან დიდებულად ქალაქნი ვრცელნი  
 და სად დღეს ვხედავთ ოდენ ბუთა და ნატამალთა“.  
*განმარტეთ*, რა სულიერი განწყობილების აღძვრა სურს ავტორს ამ სტროფით.
- (1) 28. გრიგოლ ორბელიანის ლექსში „სადამო გამოსაღმებისა“ ვკითხულობთ:  
 „შეღამდა... მარტო ვზი ჭმუნვით; ჩემი ჩივილი ვის ესმის?  
 დაყრუვდა არე... მხოლოდა ხმა ისმის ზოგჯერ გუშავის.  
 მხოლოდ ჰსჩანს მთანი მდუმარედ აყუდებულან ცათამდის,  
 და ყაზიბეგსა საამოდ ზედა ვარსკვლავი დაჰნათის!“  
*განმარტეთ*, პოეტის რა სულიერი მდგომარეობაა გამოხატული ამ სტროფში.
- (2) 29. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „მერანი“ ვკითხულობთ:  
 „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის;  
 ნუ დამიტროს სატროფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის, –  
 შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტიალის მინდვრის, –  
 და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის!“  
 1. *ამოიწერეთ* ორი სიტყვა, რომლებიც ბედისწერის სიმბოლოდ არის გამოყენებული.  
 2. *განმარტეთ*, რა აზრის გამოხატვა სურს ავტორს ამ სტროფით.
- (1) 30. ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“ ვკითხულობთ:  
 „– კუდიანობის დამეს, ჭიაკოკონობას, შენი ჭირიმე, გადააჯდებიან ხოლმე – აი, დასწყევ-  
 ლოთ ღმერთმა – ცოცხზედა და თავის ბატონთან გაფრინდებიან ხოლმე...  
 – ეგ მეც გამიგია. რამდენი სასწაულია ქვეყანაზედ! დიდება შენდა, ღმერთო!.. – გადაიწე-  
 რა პირჯვარი ლუარსაბმა...“  
*ლუარსაბის რა თვისება ჩანს ამ მონაკვეთში?*
- (2) 31. ილია ჭავჭავაძის პოემაში „განდევილი“ ვკითხულობთ:  
 „ამა უბიწო დიადის ხილვით  
 წარტყვევნილ იქმნა განყენებული  
 და ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას  
 შესცქერდა მზესა განცვიფრებული“.  
 1. *განმარტეთ*, ბერის რა სულიერი მდგომარეობაა გამოხატული მეორე სტრიქონით. (ციტირება დაუშვებელია!)  
 2. *რატომ* განაცვიფრა ბერი მზის ხილვამ?
- (1) 32. აკაკი წერეთლის პოემაში „თორნიკე ერისთავი“ ვკითხულობთ:  
 „გაუღეწიათ ბერძნები,  
 იჩაგვრის ძველი ლომიო,  
 მაგრამ ჩვენ უნდა ვუჩვენოთ  
 აწ-და სხვაგვარი ომიო!“  
*ამოიწერეთ* სტრიქონი, რომელშიც ბერძენთა გმირული წარსული და სავალალო აწმყოა გამოხატული.

- (1) 33. **ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობაში „ხევისბერი გოჩა“ ვკითხულობთ:**  
 „– რაილა დავმალო?... მოძმეთ ცოდო მე მაძევს კისერზედა, ჩემი ბრალია მათი გაწყვეტა... მე დავკარგე გონი, მტერი მე გამომეპარა!.. გუგუა უბრალოა! – ლაპარაკობდა განქარებით და აღელვებით ონისე და მთლად კანკალებდა.“  
 ონისეს რა თვისება ჩანს ამ მონაკვეთში?
- (2) 34. **ვაჟა-ფშაველას პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“ ვკითხულობთ:**  
 „დადგნენ, სულ დადგნენ მზის სხივნი,  
 აღარ ელაგდა ქვიშაო;  
 აღარსადა სჩანს, გამქრალა  
 თეთრი თმა შავის მთისაო“.  
 1. *განმარტეთ*, რას ნიშნავს გადატანითი მნიშვნელობით სიტყვები: „დადგნენ მზის სხივნი“.  
 2. *ამოიწერეთ* სტრიქონი, რომელიც აღნიშნავს დათოვლილ მწვერვალს.
- (1) 35. **დავით კლდიაშვილის მოთხრობაში „სამანიშვილის დედინაცვალი“ ვკითხულობთ:**  
 „...აგონდებოდა ამისი უშიველოსნობა, რომ ორი ქმრის ნაყოლი იყო, რომ მას შეეძლო მისი ლუკმის დაცვა განუზიარებლად, პლატონის გული სიხარულით ივსებოდა, მეტი სიამოვნებისაგან აჩქარებით ტოკავდა და სიყვარულიც ეღვიძებოდა ამ ადამიანისადმი“.  
*განმარტეთ*, რატომ ივსებოდა „პლატონის გული სიხარულით“? (ციტირება დაუშვებელია!)
- (2) 36. **ნაწარმოებში „ჰაკი აბა“ ლეო ქიაჩელი მოგვითხრობს:**  
 „მიუხედავად იმისა, რომ ეძინა, სახეზე რაღაც ღრმა წუხილის ლანდები მიმოურბოდნენ, რომლებიც დახუჭული თვალების საბუდეებში ღამის შავი ფრთებით ეფინებოდნენ. ნისკარტივით მოხრილი მომცრო ცხვირის ნესტოები მოხშირებულ სუნთქვისაგან უფეთქავდნენ...“  
 1. *განმარტეთ* პერსონაჟის რა სულიერი მდგომარეობაა გამოხატული ამ მონაკვეთში.  
 2. *ამოიწერეთ* ამ მონაკვეთიდან შედარება (არა უმეტეს ორი სიტყვისა).
- (2) 37. **კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ ვკითხულობთ:**  
 „დიღეგიდან გაიპარა ტუსადი, სარკინოზებთან გაიქცა იღუმალ. დიღომთან შეიპყრეს სამეფოს სპათა, დიდხანს აწამეს ფარსმანი. ხელის ფრჩხილებიც დააძვრეს, ჯავარდენების წრთობის საიდუმლო მაინც არ გასთქვა. ამ წამების დროს შემოაკვდათ მოხუცი. ასე რომ, ღვინის ქურდი თხლეს გადააყოლეს“.  
 1. *განმარტეთ*, რის გამო აწამებდნენ ფარსმანს. (ციტირება დაუშვებელია!)  
 2. *ამოიწერეთ* ფრაზა, რომელიც ფარსმანის დაღუპვის ავტორისეულ შეფასებას გამოხატავს (არა უმეტეს ოთხი სიტყვისა).
- (1) 38. **მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „ჯაყოს ხიზნები“ ვკითხულობთ:**  
 „თეიმურაზიც დღითი-დღე ჰყიდდა თავის ბედნაკრავ ოჯახსა და ისტორიას. დღითი-დღე სწავდა მომავლის იმედებს“.  
*განმარტეთ*, რის თქმა სურს ავტორს პერსონაჟის შესახებ ამ მონაკვეთით.
- (2) 39. **გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „მზეო თიბათვისა“ ვკითხულობთ:**  
 „ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება,  
 უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები,  
 მძაფრი ქარტყილი მას ნუ შეეხება,  
 მზეო თიბათვისა, ამას გევედრები“.  
 1. *განმარტეთ*, როგორ ახასიათებს პოეტი თავის თანადროულ ეპოქას. (ციტირება დაუშვებელია!)  
 2. *ამოიწერეთ* ღვთაების სიმბოლო (არა უმეტეს ორი სიტყვისა).
- (1) 40. **გიორგი ლეონიძის ლექსში „მეცამეტე საუკუნე“ ვკითხულობთ:**  
 „ვერ უძლებენ მთები  
 მუღიღების ყივილს,  
 საყვირებით, ზურნით  
 დროშების ტყე წივის...“  
*რომელ* მხატვრულ საშუალებას იყენებს ავტორი მეოთხე სტრიქონში?

#### IV. წერიტი დავალება

##### წერიტი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალებებს, გაიაზრეთ ისინი, აირჩიეთ და შეასრულეთ მათგან მხოლოდ ერთი. ნაშრომი, რომელიც დავალებას არ უპასუხებს ან ენობრივად იმდენად გაუმართავი იქნება, რომ აზრის გაგება გაჭირდება, ანდა 150 სიტყვაზე ნაკლები მოცულობისა აღმოჩნდება, არ შეფასდება.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებულია, არ შეფასდება და თხზულების მოცულობის განსაზღვრისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

თითოეულ წერიტი დავალებას თან ახლავს სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალკე-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი, თუნდაც მთელი ნაწარმოების შინაარსის თხრობა (პერიფრაზი და შინაარსი ნაშრომის მოცულობის განსაზღვრისას მხედველობაში არ იქნება მიღებული). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (მაგალითებით საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცელი შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ იგი). თხზულებისათვის გამოყოფილი ფურცლის დასაწყისში მოცემულია წერიტი დავალებების ნომრები (№1, №2 და №3); შემოხაზეთ ის ციფრი, რომელიც თქვენ მიერ არჩეული დავალების ნომერს შეესაბამება.

შეცდომები გადახაზეთ, ნუ დაჯდაბნით.

*წერიტი დავალების მაქსიმალური ქულაა 20.*

#### დავალება № 1

##### გიორგი მერჩულე მოგვითხრობს:

„დიდი ეფრემ იქმნა ეპისკოპოს აწყურისა საყდარსა. დიდი არსენი კათოლიკე ეკლესიასა, ქრისტის კუართისა სამკვიდრებელსა, მცხეთას ქართლისა კათალიკოს იქმნა. და იყო სიყუარული მათ შორის ერთად ზრდილობისათვის.

არამედ ქართლისა ეპისკოპოსნი მირეან არსენის მამისათვის ფრიად გულწყებულ იყვნეს ამის მიზეზისათვის, რამეთუ თვინიერ განზრახვისა მათისა, ძე თვისი დაადგინა კათალიკოსად თანადგომითა და კურთხევითა მცირედთა ეპისკოპოსთათა.

მამფალი გუარამ დიდი მირეანისათვის გულძვირად იყო და მსწრაფლ ხოლო ბრძანა შეკრებაი ეპისკოპოსთაი და უდაბნოსა მამათაი.

და ყოველნი შემოკრბეს ჯავახეთს. არამედ მამაი გრიგოლ არა მუნ იყო. წადიერად მოელოდეს ყოველნი და მარტოდ ანჯმნობდეს წესისა წინამძღუარნი იგი არსენი კათალიკოსისათვის და ვერა დაამტკიცეს სიტყუაი მათი. მაშინ ერუშნელმან ეპისკოპოსმან მის ჟამისამან ჰრქუა ყოველთა: „ოდეს მოვიდეს ვარსკულავი უდაბნოთაი, მაშინ განემართოს საქმე და განზრახვაი ყოველთაი.“

და მეყსეულად იხილეს წმიდაი იგი მომავალი კარაულითა შორის კრებულსა მას მამათასა საკვირველად ხილვითა. რამეთუ სამოსელი იგი შეურაცხი, რომელ ემოსა მოხუცებულსა მას, ესრეთ ჩნდა, ვითარცა სამოსელი ნათლისა ბრწყინვალისა განუცდელისაი. ხოლო თავსა მისსა კუკული იხილვებოდა, ვითარცა გვირგვინი სამეფოი პატიოსანთა თუალთა და მარგალიტთაგან ფასდაუდებელთა აღმკული. და ვითარცა იხილეს ღმრთისამიერი დიდებულებაი მისი, ყოველნი სიხარულით მიეგებნეს და შეუდგეს სიტყუათა მისთა სიხარულით.

ხოლო ნეტარმან გრიგოლ ფარულად მოუწოდა ნეტარსა ეფრემს და ჰრქუა მას: „შვილო, პატივსა მაგის წმიდისა მდღელთმთავრობისასა გაფუცებ, ნუ უშლი სულიერად ძმასა შენსა არსენის“. ხოლო მან ჰრქუა: „წმიდაო მამაო, ვერ ეგების ძმათა ჩემთა ეპისკოპოსთა ცილობაი სამართლისათვის, და მეცა შემინდვე, რამეთუ არა ვარ ამიერიტგან არსენის ცხოვარი და არცა იგი – ჩემი მწყემსი.“ მაშინ წმიდამან მან მკსინვარედ ჰრქუა: „უკუეთუ ამას იქმ, ეფრემ, მე უვარ-მყავ, ვითა

არა შენი მოძღვარი ვარ!“ ხოლო ნეტარი ეფრემ სიტყუასა მას ზედა სულიერისა მამისა და მოძღვარისასა ატირდა და ჰრქუა: „ფიცხელ არს ბრძანებაი ესე, განმკუთებელ უფროის მახვილისა. აწ ნებაი შენი იყავნ და ნუ – ნებაი ჩემი, წმიდაო ღმრთისაო!“ ხოლო მან ჰრქუა: „ეფრემ სანატრელო, გისმენინ ქრისტემან, რაიცა ითხოო მისგან შენ, უმანკოო გულითა და წრფელო გონებითა. და შენ უწყვი, ვითარ ღმერთსა ებრძანა კათალიკოსობაი არსენისი სისრულისა მისისათვის. არამედ მირე-  
ან, მამამან მისმან, აუციან-ყო უჟამოდ შესწრაფებითა.“

ამისსა შემდგომად ბრძანა გუარამ შემოკრებაი ყოველთა მოწესეთაი და მაშინ ჰრქუა: „წმიდა-  
ნო მამანო, ეპისკოპოსნო და მეუდაბნოენო, იცით ყოველთა კანონი შჯულისაი, რამეთუ არა ბრძა-  
ნებს ეპისკოპოსისა და კათალიკოსისა მძღავრებით დაჯდომასა.“ და ამას სიტყუასა შინა აუგის  
სიტყუანი განამრავლნა და ელოდა პასუხსა მათგან. ხოლო თუაღნი ყოველთანი ხედვიდეს მამასა  
გრიგოლს და ეპისკოპოსსა ეფრემს. და მათ დაიდუმეს ჟამ ერთ. მაშინ ეპისკოპოსთა ჰრქუეს ეფ-  
რემს: „ბრძანე პასუხი, რაი ჯერ-არს!“ ხოლო მან თქუა: „სადა მამაი გრიგოლ იყოს, მე მუნ არა  
ვიკადრებ სიტყუად.“ მაშინ ხელმწიფემან მან ჰრქუა ნეტარსა გრიგოლს: „მამაო, ყოველნი შენ გე-  
ლიან სიტყუად ჭეშმარიტებისა, რამეთუ უხუცეს ხარ ყოველთა დღითა და სათნოვებითა ნებისა  
ღმრთისაითა.“ ხოლო მან თქუა: „ჭეშმარიტთა ქრისტეს სამწყსოთა ისმინეთ გლახაკისა ამის მო-  
ხუცებულისაი. რამეთუ არსენი კათალიკოსი ნებითა ღმრთისაითა კათალიკოსი არს და ძვირისმეტ-  
ყუელთა მისთა, რომელთა არა შეინანონ, კდემულ იყვნენ და სრულიად ჰრცხუნენს ამას საწუთ-  
როსა და მას საუკუნესა.“

მაშინ ზარ-ჰხდა ხელმწიფესა მას, რამეთუ იყო იგი მდაბალ და ღმრთისმოშიშ. იძლია სიმდაბ-  
ლისაგან და შეუვრდა ნეტარსა გრიგოლს და ჰრქუა: „წმიდაო ღმრთისაო, შემინდვე, რამეთუ და-  
გაბრკოლენ.“ ხოლო მან ჰრქუა: „ქრისტემან ყოველნი შეგინდვენინ!“

**გაანალიზეთ მოცემული მონაკვეთი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ, ამ მონაკვეთში აღწერილი კონფლიქტის შესახებ (ყურადღება მიაქციეთ, ერთი მხრივ, კონფლიქტის პოლიტიკურ მხარეს და, მეორე მხრივ, პერსონალთა პიროვნულ დაპირისპი-  
რებას);
- იმსჯელეთ, როგორ წარმოგვიდგენს ავტორი გრიგოლ ხანძთელის პიროვნებას;
- იმსჯელეთ, რა არის ამ მონაკვეთის მთავარი სათქმელი და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდე-  
ბულება წამოჭრილი პრობლემის მიმართ.

**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

**დავალება № 2**

**ვაჟა-ფშაველას პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“ მოთხრობილია, თუ როგორ ბრუნდებიან ზვიადა-  
ურის მკვლელობის შემდეგ ქისტები სოფელში, სასაფლაოზე კი მხოლოდ ადაზა რჩება:**

„და წყაროს პირზე დიაცი, –  
ტურფა, ლამაზი, – ქისტისა,  
შუბლზე და მკერდზე წყალს ისხამს,  
დრო და დრო გული მისდისა.  
ბევრი იტირა ჩუმადა,  
თუმცა დრო და დრო ჰკრთებოდა;  
ზვიადაურის სიკვდილი  
თვალეში ელანდებოდა.  
სტიროდა, მაგრამ ტირილი  
არ იყო, ესათრებოდა:  
ერთ მხრივ ხათრი აქვს თემისა,  
მეორით – ღმერთი აშინებს;  
ქისტეთის მტრისა მოზარეს  
თავს რისხვას გადმოადინებს.  
ეს ფიქრი გონებისაა,  
გული თავისას შვრებოდა,  
კაცის კაცურად სიკვდილი  
გულიდან არა ჰჭრებოდა.  
ქალის გულს იგი სურათი  
შიგ გაეყარა ისრადა,  
იმან დაადვა ლამაზსა  
დაკლულის გლოვა კისრადა.  
სიბნელეს უცდის, მივიდეს,

ღამით იტიროს მკვდარიო;  
იმას აღარა ჰფიქრობდა,  
ჯოყოლა როგორ არიო.  
ვის ცოლი ვის ქმარსა სტირის?  
რას სწადის ჭკვაზე მცდარიო?!  
იქნება ჰკლავენ ჯოყოლას,  
სახლსაც შაუხსნეს კარიო!  
წამოდგა, იხედებოდა  
როგორც დამთხვარი ნადირი,  
ხედნებ-ხედნებით ამოვლო  
ხევის კლდიანი ნაპირი;  
წყვდიადში საზარლად ისმის  
წყალთ ანაძრახი საყვირი.  
ამოვლო კრძალვით საფლავთან,  
მკვდარსა მუხლ-მოყრით დაეყრდნო,  
ქვითინებს გულამოსკენითა,  
ცრემლსა სიპი ქვა დაედნო.  
აიხსნა დანა, მიჰმართა  
ზვიადაურსა იმითა,  
ააჭრა ნიშნად, სახსოვრად  
სამი ბალანი პირითა,  
ჩიქილის ტოტში შეხვია  
ბროლის თითებით თლილითა...“

ეს რა ხმა ესმის, დგანდგარი?  
ყურებს გაუდის ჟივილი...  
საფლავეებიდან მოესმის  
მკვდრების წყრომა და ჩივილი!  
თითქოს ბაღლებიც ატირდენ,  
გაუდისთ მწარედ წივილი!  
საერთო წყრომის ხმა ისმის,  
საერთო გულის ტკივილი:  
„რას შვრება უნამუსოვო,“  
გამწარებულნი ჩიოდენ, –  
„მაღალი ღმერთი გრისხავდეს!“ –  
სამართლად შემოჰკიოდენ.  
აჩქარებული ღრუბლები

ცის პირზე გადმოდიოდენ.  
გაიქცა, მირბის, იხედავს, –  
მკვდარნი მისდევენ, სწორია.  
„შინით სად გაგვეხვეწები,  
აქით თუ გაგვეშორია?“ –  
ხმა ისმის დანადევნები,  
მასვე იძახის გორია,  
გარშემო დაყუდებული  
განა ერთი და ორია.  
„უნამუსოვო!“ – მისძახდენ  
ტან დაწკეპილნი დეკანი,  
ბალახნი, ქვანი, ქვიშანი,  
იმ არე-მარეს მდებარნი“.

**გაანალიზეთ მოცემული მონაკვეთი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ ადაზას მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ადაზას განცდებსა და თემის მსოფლმხედველობას შორის წარმოშობილი მისტიკური კონფლიქტის შესახებ (ყურადღება მიაქციეთ დაპირისპირების გამომწვევ მიზეზებს);
- იმსჯელეთ, რა არის ამ მონაკვეთის მთავარი სათქმელი და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება წამოჭრილი პრობლემის მიმართ.

**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

**დავალება № 3**

**ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი სულხან-საბა ორბელიანის წიგნიდან „სიბრძნე სიცრუისა“:**  
„შვილს უბრძანა მეფემ:

– შენთვის ღმერთსაც მოუნდომებია და მეც მომიცია ადგილი და სამეფო ჩემი. და დღეის წადმა უფლებდუ ყოველსა ზედა და ნუმცა ვინ არს ურჩი შენი.

ჯუმბერ დადრკა, მამას ეთაყვანა, მიწას აკოცა და ეგრე მოახსენა:

– დამბადებელიმცა შენი დიდებულ არს, სვემცა შენი ბედითურთ ამაღლებულ არს, სახელიმცა შენი ნუ დაიღვეის!

მე თუ რამ სიკეთე მაქენ – შენგან, თვარა ვინ ნახა, ეკალი დაერგოს და ხურმა მაზედ მოეკრიფოს. კეთილი ხე კეთილს მოიბამს, თვარა თავით თვისით ხილი უნერგი კარგი არ იქმნება, და არცა აღქატი ხე რწყვითა და კაზმით გაკეთდება. არაკად თქმულა: „ქორი ქორსა სჩეკს და ძერა – ძერუკასაო“.

შენი ხორცი ვარ და ლეონის გაზრდილი. ჩემი სიკეთე ჩემგან არ არის: აგებულობის საქმე – შენგან, და წვრთილობა – ლეონისაგან. არა ამისთვის მოგახსენებ, ლეონს შენგან ბოძება აკლდეს და დიდი წყალობა არა სჭირდეს, მაგრამ მტერი ბევრი უვის და არ შეასმინონ მეფობისა თქვენისა კარსა“.

**ყურადღებით წაიკითხეთ აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ მონაკვეთი:**

„არც გვართ, არც ვაჟკაცობით,  
არც სიმდიდრით, არც ქონებით,  
ჰაჯი-უსუბ ცნობილია  
მხოლოდ ჭკუით და გონებით.  
ჭირში, ლხინში საზოგადოდ  
უმისობა არ იქნება;  
ხელის გულზე უწერია  
თვით მაჰმადის წმინდა მცნება.  
ზღვა და ხმელი მოვლილი აქვს,  
მნახველია ცა და ქვეყნის;  
ჯერ ისევე ჭანმაკია,  
თუმც არ არის კი მცირე ხნის.  
ხელ-ფეხს ერჩის, თვალსაც უჭრის,  
არ ტყუილი ქადილია;  
სადაც კია გვარიშვილი,  
ყველა მისი გაზრდილია.  
საფარ-ბეგიც მან გაზარდა  
ისე, როგორც სხვები ყველა,

მაგრამ მარტო წვრთნა რას იზამს,  
თუ ბუნებამც არ უშველა?  
აი, სწორედ ამ უსუბთან  
მიდის ახლა საფარ-ბეგი,  
მორღუობის გამტეხი და  
ჩვეულების გადამდეგი.  
ეუბნება ყოველიფერს,  
უნებურად რაც შეემთხვა;  
ცრემლები სდის და ეჩრება  
ბურთად ყელში მწარე სიტყვა.  
ყურს უგდებდა ჰაჯი-უსუბ,  
სახე მონინაღვლიანა:  
სიდიადე ამ მუხთლობის  
თვალწინ გაისიგრძეგანა.  
ოხვრით ჰკითხა: „მერე? მერე?  
რომ გაიგო, რა სთქვა ქმარმა?“  
– „მაპატივა შეცოდება,  
როგორც ძმამ და მეგობარმა!..“





A series of horizontal dashed lines spanning the width of the page, intended for writing or drawing.

# III მასივი ქართულ ენასა და ლინგვისტიკაში

2008

## ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით საგამოცდო ტესტის ბუკლეტს და ისე შეავსეთ პასუხების ფურცელი. **ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი სამუშაოსათვის!**

**გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!**  
**პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!**

წერეთ გარკვევით, იმყოფინეთ პასუხისათვის განკუთვნილი ადგილი. თუ კითხვას არ ახლავს აკრძალვა – ციტირება დაუშვებელია – შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც.

**დავალებების №№ 1-10** (წაკითხულის გააზრება) და **№№ 11-14** (ქართული ენა) შესასრულებლად აუცილებელია პასუხების ფურცლის შესაბამის უჯრედში გააკეთოთ აღნიშვნა – **X**. (იხ. დავალება 11).

**გაითვალისწინეთ, დავალებები №№ 15-18 უნდა შესრულდეს შემდეგნაირად:**

- პასუხების ფურცელში მოცემულია უჯრედების ჰორიზონტალური და ვერტიკალური რიგები (იხ. დავალება 17).
- ჰორიზონტალურ რიგებში იმდენი უჯრედი, რამდენი წინადადებაცაა (**№ 17 დავალებაში** – რამდენი ციფრიცაა) ამ დავალებებში;
- უჯრედთა ვერტიკალური რიგები შეცდომათა რაოდენობას შეესაბამება;
- პირველ ჰორიზონტალურ რიგში **X** უნდა დაისვას იმ წინადადების (ციფრის) რიგითი ნომრის ქვეშ, რომელშიც პირველი შეცდომაა დაშვებული; მეორე ჰორიზონტალურ რიგში **X** უნდა დაისვას იმ წინადადების (ციფრის) რიგითი ნომრის ქვეშ, რომელშიც მეორე შეცდომაა დაშვებული და ა. შ. (იხ. დავალება 17).

**პასუხების მონიშვნისას:**

- პასუხების ფურცელში მოძებნეთ დავალების ნომერი და თქვენი პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**;
- დასაშვებია **X** ნიშანი გასცდეს თეთრი უჯრედის ფარგლებს (იხ. ნიმუში), მაგრამ იგი უჯრედზე მოკლე არ უნდა იყოს;
- თუ რომელიმე რიგში ერთზე მეტ **X** ნიშანს დასვამთ, ეს დავალება არ შეფასდება;
- თუ გსურთ უკვე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ ეს უჯრედი (ან უჯრედები) და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (იხ. ნიმუში).

**ნიმუში:**

დავალება 11.	დავალება 17.																																																																		
<table border="1"> <tr> <td></td> <td>ა</td> <td>ბ</td> <td>გ</td> </tr> <tr> <td>1.</td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> </tr> <tr> <td>2.</td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> </tr> <tr> <td>3.</td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> </tr> </table>		ა	ბ	გ	1.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	2.	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	3.	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<table border="1"> <tr> <td></td> <td>1</td> <td>2</td> <td>3</td> <td>4</td> <td>5</td> <td>6</td> <td>7</td> <td>8</td> <td>9</td> </tr> <tr> <td>1.</td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> </tr> <tr> <td>2.</td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> </tr> <tr> <td>3.</td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> </tr> <tr> <td>4.</td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input type="checkbox"/></td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td><input checked="" type="checkbox"/></td> </tr> </table>		1	2	3	4	5	6	7	8	9	1.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	2.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	3.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	4.	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
	ა	ბ	გ																																																																
1.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>																																																																
2.	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>																																																																
3.	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>																																																																
	1	2	3	4	5	6	7	8	9																																																										
1.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>																																																										
2.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>																																																										
3.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>																																																										
4.	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>																																																										

იმ შემთხვევაში, როდესაც პასუხი იწერება სიტყვიერად, შეცდომა შეგიძლიათ გადახაზოთ და გვერდით (ან ზემოთ) დაწეროთ სწორი პასუხი.

სამი წერითი დავალებიდან აირჩიეთ და შეასრულეთ **მხოლოდ ერთი**.

არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი. ის ნაშრომი, რომელზეც მითითებული იქნება აბიტურიენტის სახელი და/ან გვარი, ან პიროვნების იდენტიფიკაციის სხვა საშუალება (მაგალითად, მეტსახელი), არ გასწორდება!

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი და 30 წუთი.

**გისურვებთ წარმატებას!**

წაკითხულის გააზრებისა (№№ 1-10) და ქართული ენის (№№ 11-14) დავალებათა შესასრულებლად აუცილებელია პასუხების ფურცლის შესაბამის უჯრედში გააკეთოთ აღნიშვნა – X.

### I. წაკითხულის გააზრება

წაკითხეთ ტექსტი ბოლომდე. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყოთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. შეკითხვებს ყურადღებით გაეცანით და მოცემული სამ-სამი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი.

1. ადამიანის არსებობა სამყაროში, მისი სამყაროსადმი დამოკიდებულება ორმხრივი ხასიათისაა. ადამიანი, ერთი მხრივ, არის მომხმარებელი და, მეორე მხრივ, მოქმედი და შემოქმედი.
2. ადამიანის მიერ სამყაროს „მომხმარებლობა“ მდგომარეობს მის მიერ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში. ადამიანს ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები ანუ სამომხმარებლო ინტერესები გააჩნია, მაგრამ, მეორე მხრივ, მისთვის დამახასიათებელია ის, რომ თავისუფალი აქტივობის, შემოქმედების ინტერესი გააჩნია. სწორედ ეს უკანასკნელი შეადგენს სპეციფიკურად ადამიანურ ინტერესს.
3. შემოქმედებითი აქტივობის გარეშე ადამიანს არ შეუძლია დაძლიოს მოწყენილობა, სიმარტოვე და სხვ. საერთო შემოქმედებითი საქმის ნაკლებობის პირობებში ადამიანებს შინაგანად ვეღარაფერი აერთიანებთ. ერთი სიტყვით, ადამიანს შემოქმედებითი აქტივობის გარეშე არ შეუძლია იყოს ბედნიერი.
4. თავისთავად ცხადი უნდა იყოს, რომ ტექნიკა ეხმარება ადამიანს მხოლოდ სამომხმარებლო ინტერესების დაკმაყოფილების მხრივ. ტექნიკის აზრი იმაშია, რომ იგი ადამიანის მაგიერ მუშაობს, ქმნის და ასე მზა სახით აწოდებს მას პროდუქტს. ტექნიკას, რა თქმა უნდა, არ შეუძლია დააკმაყოფილოს ადამიანის ინტერესი შემოქმედებისადმი. კიდევაც რომ შეძლოს ტექნიკურმა საშუალებამ შემოქმედების განხორციელება (რაც საუკუნოა), ეს ხომ არ იქნება ადამიანის შემოქმედება, არამედ იქნება ადამიანის მაგიერ შემოქმედება. ხოლო ადამიანს, საბოლოო ანგარიშში, საკუთარი შემოქმედებითი აქტივობის განცდა ესაჭიროება და ამის გარეშე არ შეუძლია იყოს ბედნიერი.
5. მაშ, ტექნიკას არ შეუძლია გადაწყვიტოს ადამიანის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პრობლემები, როგორებიცაა: შემოქმედებითი აქტივობის უზრუნველყოფა, ამის საფუძველზე მოწყენილობის, სიმარტოვის, ურთიერთგაუგებობის დაძლევა, ადამიანთა შორის შინაგანი კავშირების ანუ სპეციფიკურად ადამიანური ურთიერთობის დამყარება და სხვ.
6. ტექნიკამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ თანდათან ზედმეტი გახდა კომფორტის შექმნის მიმართულებით ადამიანის შემოქმედებითი აქტივობა, ამდენად, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ადამიანმა თანდათან დაკარგა შემოქმედების შესაძლებლობები და უბრალო მომხმარებლად იქცა. ტექნიკამ თითქოს სრულიად შეცვალა ადამიანი სამომხმარებლო ნივთების დამზადების საქმეში. მეტიც, თვითონ ტექნიკური მეცნიერება და ტექნიკის განვითარებაც თანდათანობით სულ უფრო და უფრო ავტომატიზებულ-ტექნიზებულ საქმედ იქცევა – ადამიანი ამ სფეროშიც თანდათან კარგავს თავისუფალ-შემოქმედებითი მოქმედების შესაძლებლობებს.
7. ტექნიკის ეს ყოვლისმომცველობა საბედისწერო აღმოჩნდა ადამიანისათვის. აღმოჩნდა, რომ ადამიანს არ შეუძლია დასჯერდეს სამყაროსადმი მხოლოდ სამომხმარებლო დამოკიდებულებას, მას არ შეუძლია იყოს ბედნიერი, თუკი მისი ცხოვრებიდან ამორთულია თავისუფალ-შემოქმედებითი აქტივობის შესაძლებლობები. შემოქმედებითი აქტივობის გარეშე ადამიანის ცხოვრება კარგავს აზრსა და „გემოს“. სრული კომფორტი, რომელიც შემოქმედებითი საქმისაგან გვათავისუფლებს, თავად სიცოცხლისგან განთავისუფლების ტოლფასია.
8. ცხოვრების მეტისმეტი შემსუბუქება, რასაც მიზნად ისახავს „ტექნიკური ოპტიმიზმი“, ნამდვილად შემსუბუქება კი არაა, არამედ სწორედ საბედისწერო დატვირთვა მოწყენილობის, მარტოობის და სხვ. უმძიმესი განცდებით.
9. თავისუფალი, შემოქმედებითი, პიროვნული მოღვაწეობის შეფერხებული ტენდენცია არ კვდება, არამედ გარდაიქმნება ღრმა დაუკმაყოფილებლობის საბედისწერო გრძობად. ეს უკანასკნელი ადამიანის სულში ბადებს „აგრესიის კომპლექსებს“ და მოულოდნელად ამოხეთქავს ხოლმე თითქოსდა უმიზეზო დანაშაულებრივი ექსცესების სახით. „უფერული ცხოვრება არაა უხიფათო. ზოგჯერ ადამიანებს მისი სისხლით შეფერადების სურვილი უჩნდებათ“ (სტანისლავ ეჟი სტავინსკი). შემთხვევითი არაა, რომ ზეკომფორტაბელური, საიმედოდ „დაპროგრამებული“ ცხოვრების იდილიას ხშირად არღვევენ ხოლმე მოულოდნელი აგრესიის კატასტროფული აფეთქებანი.

*ზურაბ კაკაბაძე, ადამიანის განსხვისების პრობლემა, წიგნში: წერილები, თბ., 1972.*

- (1) **1. რა არის II აბზაცის ფუნქცია?**  
 ა) I აბზაცში გამოთქმული მოსაზრების გამეორება. ბ) I აბზაცში გამოთქმული მოსაზრების დაზუსტება. გ) I აბზაცში გამოთქმული მოსაზრების უარყოფა.
- (1) **2. რა არის III აბზაცის უმთავრესი აზრი?**  
 ა) საერთო შემოქმედებითი საქმიანობა ადამიანებს აერთიანებს.  
 ბ) შემოქმედებითი აქტივობის გარეშე ადამიანი ვერ სძლევს მოწყენილობას.  
 გ) შემოქმედებითი საქმიანობა ადამიანის ბედნიერების საფუძველია.
- (1) **3. რა აკავშირებს III და IV აბზაცებს ერთმანეთთან?**  
 ა) IV აბზაცში მოყვანილია არგუმენტი III აბზაცში გამოთქმული მოსაზრების დასადასტურებლად. ბ) IV აბზაცში მოყვანილია არგუმენტი III აბზაცში გამოთქმული მოსაზრების უარსაყოფად. გ) IV აბზაცში მოყვანილია არგუმენტი III აბზაცში გამოთქმული მოსაზრების უმნიშვნელობის საჩვენებლად.
- (1) **4. რა არის V აბზაცის უმთავრესი აზრი?**  
 ა) ტექნიკური პროგრესი ადამიანის სულიერ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს. ბ) ტექნიკური პროგრესი ხელს უწყობს ადამიანთა ურთიერთგაათმუხლოების დაძლევას. გ) შემოქმედებითი აქტივობა უზრუნველყოფს სიმარტოვისა და ურთიერთგაათმუხლოების დაძლევას.
- (1) **5. რა იგულისხმება სიტყვებში: „ავტომატიზებული-ტექნიზებული საქმე“?**  
 ა) არაშემოქმედებითი საქმიანობა. ბ) საინტერესო საქმიანობა. გ) უშედეგო საქმიანობა.
- (1) **6. რა იწვევს ადამიანური არსებობის ტრაგიზმს VII აბზაცის მიხედვით?**  
 ა) აბსოლუტური კომფორტი. ბ) შემოქმედებითი აქტივობა. გ) ცხოვრების „გემოს“ დაკარგვა.
- (1) **7. რომელ აბზაცშია გამოხატული აზრი, რომ კომფორტი ადამიანს ვერ გააბედნიერებს?**  
 ა) I აბზაცში. ბ) II აბზაცში. გ) VIII აბზაცში.
- (1) **8. რა არის IX აბზაცის უმთავრესი აზრი?**  
 ა) ადამიანებს ცხოვრების სისხლით შეფერადების სურვილი უნდვებთ.  
 ბ) დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, როგორც წესი, აგრესიას წარმოშობს.  
 გ) პიროვნული მოღვაწეობის შეფერხებული ტენდენცია არ კვდება.
- (1) **9. რის შესახებ არ მსჯელობს ავტორი ამ ტექსტში?**  
 ა) ადამიანის ზნეობრივი არსის შესახებ. ბ) ადამიანის შემოქმედებითი უნარის შესახებ.  
 გ) ტექნიკური პროგრესის უარყოფითი მხარეების შესახებ.
- (1) **10. რა არის მთელი ტექსტის უმთავრესი აზრი?**  
 ა) ტექნიკური პროგრესი ადამიანის კეთილდღეობისა და ბედნიერების საფუძველია.  
 ბ) ტექნიკურ პროგრესს ადამიანისათვის სიმშვიდე და ბედნიერება არ მოაქვს.  
 გ) ცხოვრების იდილიას ხშირად არღვევენ აგრესიის კატასტროფული აფეთქებანი.

## II. ქართული ენა

- (3) **11. ტექსტში გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა. ქვემოთ მოცემული ვარიანტებიდან შეარჩიეთ კონტექსტისათვის უფრო შესაფერისი.**  
 რკინის მადნისაგან (1) . . . როგორც რკინას, ისე თუჯსა და ფოლადს. იმის გამო, რომ ეს მადანი არც ერთ სხვა მადანს არ ჰგავს, პირველყოფილი ადამიანისათვის (2) . . . ძნელი მისახვედრი იყო, რომ მისგან ლითონი მიიღებოდა. ამიტომ დიდმა (3) . . . განვლო, ვიდრე ადამიანი რკინის მადნის დამუშავებას შეძლებდა.
- |    |                 |             |                |
|----|-----------------|-------------|----------------|
| 1. | ა) აღნობენ;     | ბ) აღლობენ; | გ) აღხობენ.    |
| 2. | ა) საგრძნობლად; | ბ) საკმაოდ; | გ) საკმარისად. |
| 3. | ა) დრომ;        | ბ) ჟამმა;   | გ) ხანამ.      |
- (1) **12. რას ნიშნავს სიტყვათა მყარი შეხამება – თავის ქერქში არ ეტევა?**  
 ა) ზომიერების გრძნობა დალატობს; ბ) თავს უხერხულად გრძნობს; გ) პასუხისმგებლობის გრძნობა არ აქვს.

(1) 13. კრიალა მწვანე არის:

- ა) ქათქათა; ბ) ღაუღაუა; გ) ხასხასა.

(1) 14. უკბილო გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს:

- ა) უკმეხს; ბ) უხამსს; გ) უხეიროს.

**№№ 15-18 დავალეების შესასრულებლად პასუხების ფურცელში მოცემულია უჯრედების ჰორიზონტალური რიგები, რომლებშიც იმდენი უჯრედი, რამდენი წინადადებაცაა (№ 17 დავალეებაში – რამდენი ციფრიცაა) ამ დავალეებში, უჯრედთა ვერტიკალური რიგები კი შეცდომათა რაოდენობას შეესაბამება. პირველ ჰორიზონტალურ რიგში X უნდა დაისვას იმ წინადადების რიგითი ნომრის ქვეშ, რომელშიც პირველი შეცდომაა დაშვებული; მეორე ჰორიზონტალურ რიგში X უნდა დაისვას იმ წინადადების რიგითი ნომრის ქვეშ, რომელშიც მეორე შეცდომაა დაშვებული და ა. შ.**

(4) 15. რომელ წინადადებებშია დაშვებული მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომები?

1. საბაწმიდის ლავრა მდებარეობს იერუსალიმის სამხრეთ-დასავლეთით. 2. იგი V საუკუნეში დააარსა საბა გაწმედნილმა, გამოჩენილმა საეკლესიო მოღვაწემ. 3. აქ საუკუნეების განმავლობაში სდუღდა ქრისტიან მოწესეთა კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრება. 4. მათ შორის იყვნენ ჩვენი წინაპრებიც, რომელთაც საკუთარი ეკლესია ჰქონდათ. 5. სავანეში ქართველთა წარმომადგენლობა ყველაზე მრავალ რიცხოვანი VIII-X საუკუნეებში იყო. 6. ამ პერიოდში აქ ფართოდ გაიშალა მთარგმნელობითი საქმიანობა, განვითარდა ორიგინალური ჰიმნოგრაფია. 7. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს X საუკუნის მწიგნობართა მიერ შედგენილი კრებულები, რომლებშიც ნათლად ჩანს ეროვნული ტენდენციები. 8. XI საუკუნიდან ბერ-მონაზვნურ ყოფაზე გავლენა იქონია არაბთა მოძალებამ. 9. მათ რამდენჯერმე დაარბიეს სავანე, მაგრამ ქართველ ბერებს ამ ვითარებამაც ვერ ააღებია ხელი მწიგნობრულ-შემოქმედებით მოღვაწეობაზე.

(4) 16. რომელ წინადადებებშია დაშვებული სინტაქსური შეცდომები?

1. ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე ცხოვრობდა ძველ წელთაღრიცხვის 470-339 წლებში. 2. თავისი შეხედულებები მას წერილობით არ ჩამოუყალიბებია. 3. ფილოსოფოსის ნააზრევი მისმა მეგობრებმა და მოწაფეებმა შემოუნახეს კაცობრიობას, რომლებსაც იგი ესაუბრებოდა ხოლმე. 4. ის, რომ სოკრატე დიდი მოაზროვნე იყო, ყველაზე უკეთ პლატონი წარმოაჩენდა თავის თხზულებებში. 5. სოკრატეს მოძღვრებაში ყურადღება გამახვილებულია თვითშემეცნების მნიშვნელობაზე. 6. იგი შეეცადა ეთიკის პრობლემების გადაწყვეტას ცოდნის საფუძველზე. 7. მისი აზრით, ადამიანი მაშინ იწყებს სწრაფვას ცოდნისაკენ, როცა აცნობიერებს, რომ მან არაფერი იცის. 8. ძველ საბერძნეთში სოკრატეს მიმდევართა რამდენიმე ფილოსოფიური სკოლები არსებობდა. 9. მათგან ყველაზე ძლიერი პლატონის სკოლა იყო.

(4) 17. რომელი ციფრების ადგილას არის გამოტოვებული სასვენი ნიშნები?

ქსოვილის მხატვრული დამუშავება(1) დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების(2) ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. ქართველები განთქმულნი იყვნენ(3) როგორც დაჩითვის(4) ისე ქარგვის ოსტატობით. ამის შესახებ მოგვითხრობს არაერთი ანტიკური წყარო. XX საუკუნის 60-იან წლებში(5) დაიწყო ამ დარგის აღორძინება. დღეს განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს დეკორატიული ქსოვილის ძირითადი სახეობები(6) გობელენი(7) თექა და სხვა. თანამედროვე ქართული გობელენი გამოირჩევა(8) არა მარტო ორნამენტებით(9) არამედ სიუჟეტური გამოსახულებებითაც.

(4) 18. რომელ წინადადებებში გვხვდება სტილისტური ხარვეზები?

1. XIX საუკუნის მიწურულს ფეხბურთი საქართველოს ზღვისპირა ქალაქების შემდეგ თბილისშიც შემოვიდა. 2. ამავე პერიოდში აწარმოეს ინგლისურიდან თამაშის წესების თარგმნა. 3. 1906 წელს ჩამოყალიბდა ფეხბურთის მოყვარულთა წრე. 4. საჭირო შეიქმნა სპორტსმენთათვის სათამაშო მოედნის მოწყობა. 5. ამისათვის დიდუბის იპოდრომი შეიქმნა. 6. თბილისში პირველი ოფიციალური საფეხბურთო მატჩი გაიმართა 1911 წელს. 7. ერთი წლის შემდეგ მოეწყო ქალაქის ჩემპიონატი, რომელშიც გამარჯვება მოიხვეჭა ვაჟთა II გიმნაზიის გუნდმა. 8. 1923 წელს თბილისში ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად გამართულ საქალაქო შეჯიბრებაში ერთმანეთს 27 გუნდი ეჯიბრებოდა. 9. 1925 წელს შეიქმნა საფეხბურთო გუნდი „დინამო“, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული ქართული ფეხბურთის არაერთი მნიშვნელოვანი წარმატება.

(10) 19. ტექსტში დაშვებულია მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომები. ლთხ სტრიქონში შეცდომა არ არის, ექსსში კი თითო-თითო შეცდომაა. სტრიქონის ნომრის გასწვრივ მოცემულ

ხაზებზე დაწერეთ თითოეული ეს სიტყვა **სწორი ფორმით**; თუ შეცდომა **არ არის**, გააკეთეთ აღნიშვნა ✓.

- ნიმუში: 0** ჩუღურეთი თბილისის ერთ-ერთი ძველი უბანია. იგი მტკვარის მარცხენა  
0 სანაპიროზე მდებარეობს. უბნის სახელწოდება ნაწარმოებია სიტყვისაგან  
1 „ჩუღური“, რომელიც თურქულად ფერდობს, ხევს აღნიშნავს. ჩუღურეთი  
2 ძველად მჭიდროთ დასახლებული სოფელი ყოფილა ქალაქის განაპირას.  
3 მე-19-ე საუკუნის დასაწყისში იგი თბილისს შეუერთდა. ამ პერიოდისათვის  
4 მოსახლეობის აღწერის მონაცემებით ჩუღურეთში ცხოვრობდა არაუმეტეს  
5 113 კომლისა. ვახუშტის გეგმის მიხედვით, უბანს სამი მხრიდან ხევი ერტყა,  
6 მეოთხიდან კი მტკვარი ჩაუდიოდა. ტერიტორიას შუაზე ჰკვეთდა „ავჭალის  
7 დიდი“ ვხა. იგი ავლაბრის კარიდან იწყებოდა და სანაპიროს მიჰყვებოდა.  
8 აქ თიხნარი ნიადაგის გამო სამეთუნეო ხელოსნობა იყო დაწინაურებული.  
9 ჩუღურეთელი ოსტატები სულ უფრო ხეწოდნენ, ანვითარებდნენ ამ დარგს  
10 და ქალაქელებს მაღალი ხარისხის კერამიკულ ნაწარმს თავაზობდნენ.

**ნიმუში: 0** — მტკვარის —  
0 ——— ✓ ———

- (8) 20. ტექსტში დაშვებულია სულ 6 სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომა და სტილისტური ხარვეზი. **გაასწორეთ** ეს შეცდომები და ხარვეზები და **ისე გადაწერეთ ტექსტი**, რომ წინადადებების შინაარსი არ შეცვალოთ. თუ არ დაუშვებთ არც ერთ შეცდომას, დამატებით მოგეცემათ 2 ქულა, ერთი შეცდომის დაშვების შემთხვევაში – 1 ქულა. გაითვალისწინეთ, ერთ წინადადებაში შეიძლება შეგხვდეთ ერთზე მეტი შეცდომა ან ხარვეზი.  
თბილისში ტელეფონი 1882 წელს ამუშავდა. პირველი კავშირი დამყარდა „კავკაზის“ რედაქციასა და სტამბას შორის. თავადი ჯორჯაძე იყო პირველი მეწარმე, ვინც სატელეფონო ხაზი გაიყვანა საკუთარი კანტორიდან ღვინის საწყობამდე. 1893 წელს უკვე სატელეფონო ქსელი ემსახურებოდა არაერთ თბილისელს, რომლის ცხოვრებაშიც ტელეფონმა ძალიან უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა. აბონენტთა მომსახურებას ტელეფონისტი ქალები ახდენდნენ. როგორც იმდროინდელი პრესა აღნიშნავდა აბონენტთა რაოდენობით თბილისი რუსეთის იმპერიაში მეხუთე ადგილზე იყო. 1935 წელს ამუშავდა ავტომატური სატელეფონო სადგური რომელიც ფირმა „ერიქსონმა“ დაამონტაჟა.

### III. ქართული ლიტერატურა

- (1) 21. იაკობ ხუცესის თხზულებაში „შუშანიკის წამება“ ვკითხულობთ:  
„და ვითარცა აღივსებოდა მეექუსეი იგი წელი საპყრობილესა მას შინა, სენი სნეულები-საი მოიწია მის ზედა და შეიქმნა და დადნა ვითარცა ავლი“.  
*ამოიწერეთ* ამ მონაკვეთიდან შედარება (არა უმეტეს სამი სიტყვისა).
- (1) 22. იოვანე საბანისძის თხზულებაში „აბოს წამება“ ვკითხულობთ:  
„ხვალე განსლვაი არს ჩემი ხორცთაგან და მისლვაი უფლისა ჩემისა და ღმრთისა იესუ ქრისტის თანა“.  
*გადმოეცით* თქვენი სიტყვებით მთელი მონაკვეთის შინაარსი.
- (1) 23. გიორგი მერჩულის თხზულებაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ვკითხულობთ:  
„კლდეი იგი ხანძთისაი უფიცხლესი არს უფროის ყოველთა მათ კლარჯეთისა უდაბნოთა და [ბერებმა] შრომითა დიდითა ქმნეს ადგილი იგი, რამეთუ არა აქუნდა მათ ცული და წერაქვი, არცა სხუაი ეგევითარი სახმარი“.  
*განმარტეთ*, რა არის ამ მონაკვეთის მთავარი სათქმელი.
- (4) 24. „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში ვკითხულობთ:  
„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,  
ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები,  
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები.  
ჩემმან ხელ-მქნელმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმან ნები“.  
1. ამ სტროფის მიხედვით, რა მასალა ჰქონდა ხელთ ავტორს, სანამ პოემის წერას შეუდგებოდა? (ციტირება დაუშვებელია!)  
2. დაასახელოთ, რომელ მხატვრულ ხერხს იყენებს ავტორი პოემის სიუჟეტის შესაფასებლად.

3. ამოიწერეთ ორი სიტყვა, რომლებიც ავტორის დამსახურებას გამოხატავს.

4. ვის შეფასებას ელის ავტორი? (ციტირება დაუშვებელია!)

(1) 25. წიგნში „სიბრძნე სიცრუისა“ მეფესთან საუბრის დროს უფლისწული ამბობს:

„რაგინდ დიდებული და ძლიერი მეფე იყო, სცან ესე: მიწა ხარ და მიწად მიიქცევი. ღვთის სათნო გიჯობს კაცთა სათნოსა“.

განმარტეთ, რა არის ამ მონაკვეთის მთავარი სათქმელი. (ციტირება დაუშვებელია!)

(2) 26. წიგნში „დავითიანი“ ვკითხულობთ:

„ნათობს და ბინდობს საწუთრო, ქცევადი, მობრუნავია!

წამს მყუდრო ქარი აქროლის, წუთზე დამუსრის ნავია,

ყოველი ღხინი მუხთლისა კვლავ ისევ საჭმუნავია,

ერთი დრო გრძლად არ შეგრძნების, კარგი სთქვა, გინა ავია“.

1. ამოიწერეთ სიტყვა, რომელიც აღნიშნავს დარდის მომგვრელს.

2. განმარტეთ, როგორ არის დახასიათებული საწუთრო ამ სტროფში. (ციტირება დაუშვებელია!)

(1) 27. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსში „გოგჩა“ ვკითხულობთ:

„ერთგზის ესეცა ქვანი შავნი, დღეს დახავსილნი,

ურთიერთთაანა კაეშირობით ამაღლებულან;

მკუთვნელნი მათნი ბედნიერნი და კმაყოფილნი,

ოდესმე მათში განცხრომილან და განშვებულან“.

განმარტეთ, რა არის ამ სტროფის მთავარი სათქმელი.

(1) 28. გრიგოლ ორბელიანის ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ ვკითხულობთ:

„და რაც ღაეცა,

ის წარიტაცა

შავმან ყორანმან ვით უმწე მსხვერპლი!

ჰე, ცრუ სოფელო,

დაუნდობელო,

შენში კეთილი სად არს ფერ-უცვლელ?“

განმარტეთ, რა არის ამ მონაკვეთის მთავარი სათქმელი.

(2) 29. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „შემოდამება მთაწმინდაზედ“ ვკითხულობთ:

„მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,

კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი

და წენარს სადამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,

რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!“

1. განმარტეთ, რას ნიშნავს სიტყვები: „კლდევ ბუნდოვანო“.

2. განმარტეთ, რა აზრის გამოხატვა სურს ავტორს ამ სტროფით.

(1) 30. ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“ ვკითხულობთ:

„...ჯავრისაგან იმ კალმახს ლაზათიანად მიადლა, მოუვიდა კუჭის ანთება და ჩაჰბარდა პატრონსა. მოკვდა ლუარსაბიცა ისე, როგორც ისოცებიან ბევრნი ჩვენგანნი, რომელნიც არც თავის სიცოცხლით უმატებენ რასმეს ქვეყანასა და არც თავის სიკვდილით აკლებენ“.

განმარტეთ, როგორ ახასიათებს ლუარსაბის ცხოვრებას ავტორი. (ციტირება დაუშვებელია!)

(2) 31. ილია ჭავჭავაძის პოემაში „განდევილი“ ვკითხულობთ:

„ამა უბიწო დიადის ხილვით

წარტყვევნილ იქმნა განყენებული

და ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას

შესცქერდა მზესა განცვიფრებული“.

1. ამოიწერეთ სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ბერს.

2. რასთანაა შედარებული ჩამავალი მზის მშვენიერება?

(1) 32. აკაკი წერეთლის პოემაში „თორნიკე ერისთავი“ სარდალი მიმართავს მეომრებს:

„მორის ქვეყნით ვართ მოსული

რჯულისთვის მეომარიო;

ხელში გვიჭირავს ფარ-ხმალი,  
წინ გვიძღვის ქრისტეს ჯვარიო“.  
*რით არის განპირობებული ქართველთა სურვილი, დახმარება აღმოუჩინონ ბერძნებს?*

(1) 33. **ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობაში „ხევისბერი გოჩა“ ვკითხულობთ:**  
„ყმაწვილი ბიჭი ჩამოსტა ანგარიშიშეცემლივ, დადგა იქავ და, მკვდარს დამსგავსებული, გაქვავებული შეჰყურებდა ხალხს, რომელიც იმის თვალში ბუზსავით ირეოდა“.  
*პერსონაჟის რა სულიერი მდგომარეობა ჩანს ამ მონაკვეთში?*

(2) 34. **ვაჟა-ფშაველას პოემაში „ბახტრიონი“ კვირია ეუბნება სანათას:**  
„ცოცხალს კი უნდა ესუროს  
ვაჟაკცსა ქუდი თავზედა.  
სიცოცხლეს აუგიანსა  
სიკვდილი მიჯობს ხმალზედა“.

1. *ამოიწერეთ* სიტყვა, რომელიც აღნიშნავს საძრახისს.
2. *კვირიას რა თვისება* ჩანს ამ მონაკვეთში?

(1) 35. **დავით კლდიაშვილის მოთხრობაში „სამანიშვილის დედინაცვალი“ ვკითხულობთ:**  
„შვილის მაშველობა მეტად სასიამოვნოდ დაურჩა მოხუცებულ ბეკინას. ძალიან იამა გუნებაში ისიც, რომ ქალის მოტაცება სჭირდებოდა... თუმცა შვილს კი უთხრა საყვედურივით: – ეგ მოტაცება კი, შვილო, საჩემო საქმე აღარაა!.. უნდა აგერიდებია ეს!“  
*რატომ ამბობს ბეკინა, ქალის მოტაცება საჩემო საქმე აღარააო?*

(2) 36. **ნაწარმოებში „ჰაკი აბბა“ ლეო ქიაჩელი მოგვითხრობს:**  
„სამსონ დავანაძეს თავისი ზორბა ტანი გაეჭიმა. კისერი წაეგრძელებინა და თავი და ზედატანი კუზმასაკენ გადაეხარა. იგი დაბალი ხმით მოხსენებას უკეთებდა მას ოფიცერ ემხას და ჰაკი აბბას შესახებ. მერე, თითქოს სიტყვებს შორის შეაპარაო, ბეჭირბი ჩაჩბას განთავისუფლების დაპირებაც მოაგონა“.

1. *განმარტეთ*, კუზმასადმი სამსონ დავანაძის როგორ დამოკიდებულებას გამოხატავს მისი პოზა.
2. *განმარტეთ*, რა არის სამსონ დავანაძის ქცევის მოტივაცია.

(2) 37. **კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ ვკითხულობთ:**  
„[მეფე] გიორგიმ ცხენიდან ჩამოსტომა დააპირა, მაგრამ მამამზემ აღვირში უტაცა ხელი. უარესად გაგიმიზებდაო ნაიარვეი ფეხი, ნუ იქმო... მის მუდარაში იმდენი სიწრფელე ისმოდა, ...ეჭვი შეეპარა გიორგის, ეგებ სტყუოდნენ მსტოვარები, მამამზე უბრალო იყოსო კოლონკელიძისა და ჭიაბერის მიერ ატეხილ ამბოხში“.

1. *რაში* ადანაშაულებდნენ მამამზე ერისთავს? (ციტირება დაუშვებელია!)
2. *რატომ* დაეჭვდა მეფე გიორგი – „ეგებ სტყუოდნენ მსტოვრები“?

(1) 38. **მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „ჯაყოს ხიზნები“ ვკითხულობთ:**  
„დროება ერთხელ კიდევ გამოიცვალა. თეიმურაზ ხევისთავი რევოლუციის საღეწავ მანქანაში ჩავარდა“.  
*განმარტეთ*, რის თქმა სურს ავტორს სიტყვებით: „რევოლუციის საღეწავ მანქანაში ჩავარდა“.

(2) 39. **გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „მე და დამე“ ვკითხულობთ:**  
„ცა მტრედისფერ, ლურჯ სვეტებით ისე არის დასერილი,  
ისე არის სავსე გრძნებით, ვით რითმებით ეს წერილი“.

1. *ამოიწერეთ* ორი სიტყვა, რომელთა მეშვეობითაც ავტორი მიგვანიშნებს მთვარის სხივებზე.
2. *რომელ* მხატვრულ საშუალებას იყენებს ავტორი მეორე სტრიქონში?

(1) 40. **გიორგი ლეონიძის ლექსში „ნინოწმინდის დამე“ ვკითხულობთ:**  
„ნინოწმინდა... პალატები მეფეთა...  
გალავანში – ჯამი აქაფებული.  
შენი სახე რისთვის შემომეფეთა,  
ხატი იყავ – ვეფხვი დაქალებული...“  
*რომელ* მხატვრულ საშუალებას იყენებს ავტორი მეოთხე სტრიქონში?



#### IV. წერიტი დავალება

##### წერიტი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალებებს, გაიაზრეთ ისინი, აირჩიეთ და შეასრულეთ მათგან მხოლოდ ერთი. ნაშრომი, რომელიც დავალებას არ უპასუხებს ან ენობრივად იმდენად გაუმართავი იქნება, რომ აზრის გაგება გაჭირდება, ანდა 150 სიტყვაზე ნაკლები მოცულობისა აღმოჩნდება, არ შეფასდება.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გამწვანდება, არ შეფასდება და თხზულების მოცულობის განსაზღვრისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

თითოეულ წერიტ დავალებას თან ახლავს სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალკე ცალკე გაცემული პასუხების შექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი, თუნდაც მთელი ნაწარმოების შინაარსის თხრობა (პერიფრაზი და შინაარსი ნაშრომის მოცულობის განსაზღვრისას მხედველობაში არ იქნება მიღებული). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (მაგალითებით საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცელი შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ იგი). თხზულებისათვის გამოყოფილი ფურცლის დასაწყისში მოცემულია წერიტი დავალებების ნომრები (№1, №2 და №3); შემოხაზეთ ის ციფრი, რომელიც თქვენ მიერ არჩეული დავალების ნომერს შეესაბამება.

შეცდომები გადახაზეთ, ნუ დაჯდაბნით.

წერიტი დავალების მაქსიმალური ქულაა 20.

#### დავალება № 1

##### იოვანე საბანისძე მოგვითხრობს:

„...აღიძრნეს შემასმენელნი წმიდისა ამის მოწამისანი, განრისხებულნი და აღბორებულნი, საესენი შურითა ქრისტიანეთათა; შეიზრახნეს შეთქუმით წმიდასა მას ზედა და შევიდეს წინაშე მსაჯულისა მის, რამეთუ სხუაი მსაჯული ამირაი შემოსრულ იყო ქალაქსა ტფილისს. და ჰრქვეს მას: „არს ქალაქსა ამას შინა ჭაბუკი ერთი, რომელი იყო ბუნებით სარკინოზ და განზრდილ და ცხორებულ შჯულითა მით, რომელი მომცა ჩუენ მაჰმედ, მოციქულმან ჩუენმან; და აწ დაუტევებინეს შჯული ესე ჩუენი და იტყვის თავსა თვისსა ქრისტიანედ და უშიშად ვალს ქალაქსა შინა და მრავალთა ასწავებს ჩუენგანთა ქრისტიანე ყოფად. აწ ბრძანე შეპყრობაი მისი და შეაგდე იგი სატანჯველსა და გუემასა, ვიდრემდის არა აღიაროს შჯული მაჰმედ მოციქულისა ჩუენისაი; უკუეთუ არა, მოკუედინ იგი, რაითა არა მობაძვე იქმნენ მისა მრავალნი სიტყვითა მისითა“.

ამას რაი შეასმენდეს, ესმა ვიეთმე ქრისტიანეთა კაცთა და მოვიდეს მსწრაფლ და შეაჯერებდეს მას, რაითამცა მიჰრიდა და დაემალა. ხოლო მან ჰრქუა მათ: „მე არა ხოლო ტანჯვად განმზადებულ ვარ ქრისტეისთვის, არამედ სიკუდილცა“.

და გამოვიდა იგი სიხარულით და იქცეოდა შორის უბანთა განცხადებულად. მაშინ მოვიდეს მსახურნი იგი მის მსაჯულისანი. და შეიპყრეს ნეტარი ჰაბო. და შეიყვანეს იგი წინაშე მსაჯულისა მის. და ჰრქუა მას მსაჯულმან მან: „რაი არს, რომელი-ესე მესმის შენთვის, რამეთუ ხარ შენ ნათესავით და ტომით სარკინოზ და დაგიტევებინეს მამული შჯული და ქრისტიანეთა თანა შეცთომილ ხარ?! აწ განემზადე და ილოცე შჯულითა მით, რომლითა განგზარდეს მშობელთა შენთა“.

„ეგე კეთილად სთქუ, რამეთუ ვარ მე ბუნებით სარკინოზ. განსწავლულ ვიყავ შჯულითა მით მაჰმედისითა და ვცხოვნდებოდე მას შინა, ვიდრე უმეცრებასა შინა ვიყავ. და აწ შეუდგე მე ჭეშმარიტსა ქრისტეის მიერ მომადლებულსა სარწმუნოებასა სამებისა წმიდისასა – მამისა და ძისა და სულისა წმიდისასა. და აწ ქრისტიანე ვარ თვინიერ ყოვლისა ცილობისა“.

„დაუტევე სიცოფისა ეგე განზრახვაი და უკუეთუ ნაკლულევანებისა შენისათვის შედგომილ ხარ ქრისტიანეთა, მე უფროისლა ნიჭი და პატივი აწვე მიგცე შენ“.

„ოქროი და ვეცხლი შენი შენ თანავე იყავნ წარსაწყმედელად თავისა შენისა. მე პატივსა კაცთაგან არა ვეძიებ, რამეთუ მაქუს მე ნიჭი ქრისტისმიერი, გვირგვინი ცხორებისა და უხრწნელებისაი და პატივი საუკუნოი ცათა შინა“.

მაშინ უბრძანა მსაჯულმან მან ხელით და ფერხით შეკრავი მისი ბორკილითა რკინისაითა და ეგრეთ შთააგდეს იგი საპყრობილესა. ხოლო ნეტარსა მას უხაროდა და ჰმადლობდა უფალსა.

და იყოფოდა ნეტარი ჰაბო საპყრობილესა შინა მარხვითა, და ლოცვითა, და ფსალმუნებითა ღამე და დღე განუსუენებელად და ჰყოფდა იგი ქველის-საქმესა, რამეთუ განყიდა მან ყოველი, რაიცა აქუნდა მას, და ჰზრდიდა იგი მშიერთა და ნაკლულეევანთა მის თანა პყრობილთა მათ. ხოლო ცრუ მოძღუარნი იგი და შემასმენელნი შევიდიან მისა და ეტყვიედ რომელნიმე რეცა სიტყვითა ლიქნისაითა: „შვილო, ნუ განიწირავ თავსა შენსა, ნუცა სიტყაბუკესა შენსა განჰვაჭრი ქრისტიანედ და ნუცა ძმათა და ნათესავთა შენთა განეშორები, რაითა არა შეამთხვიო ძვირი თავსა შენსა და შეგუაწუხნე ჩუენ ყოველნი“.

და რომელნიმე მათგანნი აშინებედ მას და ეტყვიედ: „რაი სარგებელ გეყოს შენ ქრისტი იგი შენი? ანუ ვინ გისხნეს შენ ხელთაგან ჩუენთა, რამეთუ ცეცხლი და სატანჯველი აწვე განგვიძადებეს შენთვის, არა თუ მოიქცე ჩუენდავ“.

ხოლო ნეტარი იგი არა ისმენნ მათსა, არამედ ილოცავნ და უღარდილოდ ფსალმუნებნ გონებითა თვისითა. და ვითარცა ვერ შეძრეს მართალი იგი, გამოვიდეს მიერ სირცხვილეულნი“.

**გაანალიზებთ მოცემული მონაკვეთი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ აბოს ქცევის მოტივაციისა და მისი მსოფლმხედველობის შესახებ;
- იმსჯელეთ სარკინოზთა ქცევის მოტივაციისა და მათი მსოფლმხედველობის შესახებ (ყურადღება მიაქციეთ ამირას სიტყვებს – „ხარ შენ ნათესავით და ტომით სარკინოზ და დაგიტყვების მამული შჯული...“);
- იმსჯელეთ, რა არის ამ მონაკვეთის მთავარი სათქმელი და ჩამოაყალიბებთ თქვენი დამოკიდებულება წამოჭრილი პრობლემის მიმართ.

**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

**დავალება № 2**

**ყურადღებით წაიკითხეთ ნაწევები ვაჟა-ფშაველას პოემიდან „სტუმარ-მასპინძელი“:**

„სიცოცხლე ჰქრება, სისხლი დის, –  
ზვიადაური კვებოდა,  
გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა,  
გული გულადვე რჩებოდა.  
და ამ სურათის მნახველი  
ერთი დიაცი ბნდებოდა,  
ცრემლებს ჰმალავდა ღამაზი,  
ხალხზე უკანა დგებოდა.  
მიშველებასა ჰლამობდა:  
„ნუ ჰკლავთ!“ – ეძახის გულიო.  
ფიქრობდა ბრაზმორეული:  
„ნეტავი მომცა ცულიო,  
ნეტავი ნებას მაძლევდეს  
დედაკაცობის რჯულიო,  
რომ ეგ ვაცოცხლო, სხვას ყველას  
გავაფრთხოვინო სულიო.  
ნეტავი იმას, ვინაცა  
მაგის მკლავზედა წვებოდა,  
ვისიცა მკერდი, აწ კრული,  
მაგის გულ-მკერდსა სწვდებოდა,  
ნეტავი იმას ოდესმე  
ქმრის ტრფობა გაუცვდებოდა?!“  
ქისტები გაწყრენ, იტკიცეს:  
ვერ აუსრულდათ წადილი,  
ვერ გაუკეთეს თავის მკვდარს  
მის შესაფერი სადილი.  
დაკლულმა დაჰკლა მათ გული  
და გაუცრუა ქადილი.  
შეურაცხყოფილთ უნდოდათ

ერთად გაეძროთ ხანჯრები  
და გაეკეთათ მკვდრის გვამზე  
სისხლით ნაღები ფანჯრები.  
მაგრამ ვერ ჰბედვენ, სცხვენინანთ:  
„ცოდვან!“ – ყველა ჰფიქრობდა.  
ხალხის გული და გონება  
სასინანულოდ მიჰქროდა.  
სთქვეს, როცა სახლში გაბრუნდენ,  
თავ-თავქვე ჩამოდიოდენ:  
ხომ მაგას არ მოუუკლავდით  
მტრებს, ავს რომ არ სჩადიოდენ?  
კარგი ვაჟკაცი ყოფილა,  
ყველა ალლაჰსა ჰფიცავდა,  
იმიტომ ვეფხვებრ გვებრძოდა,  
თავის მიწა-წყალს იცავდა.  
მაგრამ მტერს მტრულად მოექე-  
თვითონ უფალმა ბრძანაო,  
ის სჯობს, რაც მალე ვეცდებით,  
გულში ჩაუურჭოთ დანაო.“  
წავიდნენ. ზვიადაური  
ზეზე გაწირეს ტიალად.  
თუნდა ძაღლებმა ათრიონ,  
ფრინველთა ჯიჯგონს ზიარად;  
„არ შეაწირა, ეგდოსო,  
ეგეც ეყოფა ზიანად.“  
ამას იძახდენ ქისტები  
თავმოწონებით, ხმიანად.  
ამ ხმასვე იმეორებდენ  
ბნელი ხეები მთიანად.

ჩამოდგა სადამოს უამი,  
მთიდან მზის სხივი ჩამოხდა,  
სიბნელე მოიპარება,  
სინათლეს სული ამოჰხდა.  
დადგნენ, სულ დადგნენ მზის სხივნი,  
ადარ ელავდა ქვიშაო;  
ადარსადა სჩანს, გამქრალა  
თეთრი თმა შავის მთისაო;  
ნაღვლით ნაქარგი, ნაქსოვი  
სახე იმ სალის კლდისაო,

რო მუდამ მგლოვიარეა,  
ცრემლი ანკარა სდისაო.  
სიკვდილსა გლოვა უხდება,  
მკვდარს ძმას – ტირილი დისაო,  
ტყესა – ხარ-ირმის ნაფრენი,  
ზოგ დროს – ყმუილი მგლისაო.  
ვაჟკაცსა – ომში სიკვდილი,  
ხელში – ნატეხი ხმლისაო,  
ომს – ლხინი გამარჯვებულთა  
და დამარცხება მტრისაო“.

**გაანალიზეთ მოცემული მონაკვეთი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ ალაზას მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ქისტების განწყობილების შესახებ (ყურადღება მიაქციეთ მათს ზნეობრივ-მსოფლმხედველობრივ პოზიციას);
- იმსჯელეთ, რა არის ამ მონაკვეთის მთავარი სათქმელი და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულიება წამოჭრილი პრობლემების მიმართ.

**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

**დავალება № 3**

**ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ილია ჭავჭავაძის პოემიდან „აჩრდილი“:**

„გადასდგომიხართ თქვენ ქართველობას,  
დაგინგრევიათ დიდი მამული,  
რადა დაჰბადავს თქვენში დიდს გრძნობას?  
რითი აღტკინდეს ქველისთვის გული?  
თქვენ გარს მადლითა საგსეს ბუნებას  
შეუკრებნია ყოველიფერი,  
რომ მისცეს თქვენში ზრდა დიდს ცხოვრებას;  
ჰყოს იგი ძლიერ და ბედნიერი.  
ვიშ, ეს ქვეყანა, ხმელეთის თვალი,  
დიდის სამოთხის კუთხე პატარა,  
ქედმოდრეკილა ნაღვლით საწყალი,  
რომ მისი ტრფობა თქვენში შემწყდარა;  
რომ დაგიგდიათ უმწედ, უნუგემ,  
თქვენის სიავით დაწყლულეულა,  
თქვენგან გამობილი, – უცხოს კალთის ქვეშ,  
ვითა ობოლი, შეფარებულა“.

**მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „ჯაყოს ხიზნები“ თეიმურაზი ესაუბრება ივანეს:**

„– ქართველ ერსა და ქართულ კულტურაზე ვლავარაკობდით, – გაიხსენა ბაასის სათავე თეიმურაზმა. – საიდან და როგორ უნდა შექმნილიყო ერთიანი ქართველი ერი და კულტურა?! ორი ათასი წელიწადი მაინც იქნება, რაც ამერეთ-იმერეთი ერთ ნაჭურ მიწაზე ვსცხოვრობთ. ერთად კი, ერთიან სახელმწიფოებრივ და ეროვნულ შენობაში ორასი წელიწადიც არ გვიცხოვრნია. ერთმანეთს ჭირიანებით გავურბოდით და ისე ვერიდებოდით, თითქო სხვადასხვა ტომისა და სისხლისანი ვყოფილიყავით. მუდმივ ცალ-ცალკე ვიდუპებოდით და ცალ-ცალკე ვშენდებოდით. საქართველო ყოველთვის ორპირი ან სამპირი იყო. ერთს რომ აღმოსავლეთისკენ ჰქონდა მიდრეცილი, მეორე დასავლეთისკენ იხედებოდა, მესამეს კი ან სამხრეთისკენ ჰქონდა მიბრუნებული, ან ჩრდილოეთისკენ... ეროვნული ნებისყოფაც და ენერგიაც ასე დაგვეფანტა.“

– ეხლა ხომ გაერთიანებული ვართ, შენც შეები საერთო უღელში და შენი წილი გასწიე. თუ სულიერ კულტურას ჩამორჩი, ქონებრივს მაინც დააწვებოდი.

– კაცო, ივანე, მე რა მოსატანი ვარ? მე დავიდუპები თუ ავშენდები, ქართველ ხალხს არც ევნება, არც შეერგება.

– აბა მაგას როგორ ამბობ, თეიმურ? ხალხი შენისთანა უჯრედებისგან შესდგება.

– მართალია, მაგრამ გავაფართოვოთ მსჯელობის ფარგალი. ერთი მითხარი, თავის ხასიათით და სულიერ აგებულებით ქართველი ხალხი დემოკრატია თუ არისტოკრატია?

– ვისაც ვუცნივართ, არისტოკრატებში ჩავურიცხივართ.

– გიშველა დემერტმა! მაშ ცხადია, რომ ქართველი ხალხი საშინელ ძალას ატანს და ამახინჯებს თავის თავს. ერთი გამაგებინე, როგორ მოხდა ასეთი უცნაური სასწაული: ზნე-ჩვეულებით,

სულითა და სისხლით არისტოკრატმა ქართველმა როგორ მოახერხა დამყარება უდემოკრატიულეს რესპუბლიკისა? ხომ გახსოვს, რამდენიმე წლის წინათ მთელი ქვეყანა რომ შევსძარით რიხიან ყვირილით და ბაქიობით: მოდით, გვნახეთ და ჩვენგან ისწავლეთ ნამდვილი დ...დემოკრატიული რესპუბლიკის აშენება და ნამდვილი ხალხოსნური წესრიგიო?! შუა აზიაში მეორე შვეიცარიის შექმნა განვიზრახეთ. ხა-ხა! სასაცილოა. მაგრამ სატირალიც არის ეს ამბავი, ჩემო ივანე. იგი ცხადად ამტკიცებს ჩვენს ფლიდურს, ორიპირსა და ორგულ ბუნებას. ეს იყო ყირამალა დგომა და საკუთარ ქერქიდან ამოხტომა. ჩვენ ჩვენს თავსაც ვატყუებდით და ქ...ქვეყანასაც. ესეც ჩვენი კუდაბ-ზიკურ-აზნაურული მაიმუნობა გახლავთ. ბოლოს-და-ბოლოს, საქ...ქართველოს ეს მაიმუნობა დაჭ-ღუპავს, თუ დროზე არ ეუშველეთ ჩვენს თავს. წამბაძველობის ნიჭი, ჩემო ივანე, უდიდესი საჩუქარია, მაგრამ ღმერთმა გადააჭარბა: ჭკუა დაგვაკლო და წაბაძვის ნიჭი ნაჭ...ჭარბევად მოგვცა. ჩვენც ამიტომ დავემსგავსეთ მაიმუნს, სადაც არ გვეოფნის საკუთარი ჭკუა, მხნეობა, გამძლეობა და ნებისყოფა, იქ უცხოელთა წაბაძვით ვლამობთ ფონის გასვლას და ლელოს გატანას. უწინაც ეგრე იყო. ისტორიაში განმეორების მეტი არაფერია. დღევანდელი დღე წარსულის მკათე თუ მკასე შენიშვნაა – არც მეტი, არც ნაკლები.

ივანემ კვლავ გაიციინა“.

**გაანალიზეთ მოცემული მონაკვეთები შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ, როგორ არის წარმოდგენილი საქართველოს მდგომარეობა „აჩრდილის“ მოცემულ მონაკვეთში;
- იმსჯელეთ თეიმურაზ ხევსთავის დამოკიდებულების შესახებ საქართველოს წარსულისა და აწმყოს მიმართ;
- იმსჯელეთ, რა არის მოცემული მონაკვეთების მთავარი სათქმელი და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება წამოჭრილი პრობლემების მიმართ.

*თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!*

**შავი სამუშაოსათვის**

-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----

A series of horizontal dashed lines spanning the width of the page, intended for writing or drawing.